# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 22 ნოემბერი 2005 №269 (2592) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა




**საჩხერე: აი, ინტრიგა**

დღეს თასის მერვედფინალის საპასუხო მატჩებია

2





**კახა კალაძე: მწვრთნელს მე არ დავნიშნავ**

3





**ჯორჯ ბესტს საათებს უთვლიან**

10


# ნუღარ დავაბიჯებთ ფოცხს!

## ახალკაცის უცხოური ვიზიტი უცხოელი მწვრთნელისთვის



# სალიგეების და სალაგების გასარკვევად



ჩემპიონთა ლიგაში ნაყოჩაღები თუნელები დღეს უმოტივაციო „არსენალის“ ჯობნასაც ეცდებიან

დღეს და ხვალ, სანაკრებო ვნებათაღელვის შემდეგ, ევროპულ ფეხბურთს ჩემპიონთა ლიგა უბრუნდება და „ბებერი კონტინენტის“ სხვადასხვა ქალაქში ფიცხელი თამაშები გაიმართება — ჯგუფური ეტაპის ბოლოსწინა ტურია. მაგრამ, მოდი, ხვალინდელი თემა ერთი დღით გადავდოთ და დღეისა ვიკითხოთ. ჯგუფებით მივყვეთ:

**A** ჯგუფში „იუვენტუსს“ და „ბაიერნს“ აქვთ მერვედფინალში მოხვედრის შანსი. საამისოდ პირველმა „ბრიუგეს“ უნდა აჯობოს, ხოლო მეორემ „რაპიდს“. „იუვეს“ ფრეც აძლევს ხელს.

**B** ჯგუფში „აიაქსმა“ პრალის „სპარტა“ რომ დაამარცხოს, ისიც მერვედფინალში ამოყოფს თავს, „არსენალი“ კი უკვე გასულია და მისთვის „თუნთან“ შეხვედრა ფორმალობაა.

**C** ჯგუფში კი „ბარსელონაა“ უკვე გასული, მაგრამ, თუ შეძლებს, პირველი ადგილის გასანაღდებლად „ვერდერს“ მაინც უნდა მოუგოს. ამ ჯგუფის სხვა გუნდებისა კი რა გითხრათ, მათი ამბავი ბოლო ტურამდე მაინც გაურკვეველი დარჩება.

„მანჩესტერ იუნაიტედს“ კი დღეს შინ ფეხი რომ დაუცდეს და „ვილიარეალთან“ დამარცხდეს, ხოლო იმავდროულად „ბენფიკამ“ „ლილს“ სძლიოს, ალექს ფერგიუსონის გუნდი **D** ჯგუფიდან სხვა შეჯიბრებაში, უეფას თასზე გადავა. მოგების შემთხვევაში „ვილიარეალი“ მერვედფინალშია, ასეთი რამ კი ძალიან აწყობს „ლილს“, რადგან თუ თავად „ბენფიკას“ მოუგებს, ისიც თექვსმეტ დაწინაურებულს შორის იქნება.

# დავით ყიფიანის თასი

**მერვედფინალი. საპასუხო მატჩები**

მუხრანი. 22 ნოემბერი. 13.30 საათი. ცენტრალური

## გაგრა — ამერი (1:4)

მსაჯები: გ. ასკაროღლი (ქარელი); გ. ელისაბედაშვილი, ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი); ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); ინსპექტორი: ა. შალამბერიძე

თბილისი. 22 ნოემბერი. 13 საათი. ოლიმპის სკოლა

## სოხუმი — ბორჯომი (0:2)

მსაჯები: მ. მაისურაძე; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი

საჩხერე. 22 ნოემბერი. 13.30 საათი. ცენტრალური

## ჩიხურა — დინამო (0:0)

მსაჯები: მ. მალალურაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), გ. ცირდავა (გულრიფში); ლ. სილაგავა (თბილისი); ინსპექტორი: ს. კოტრიკაძე

ზესტაფონი. 22 ნოემბერი. 13.30 საათი. ცენტრალური

## ზესტაფონი — სპარტაკი (4:0)

მსაჯები: გ. ვადაჭკორია (თბილისი); ხ. გაგნიძე (გორი), გ. ბეუქლიშვილი; ა. ნონიკაშვილი (ორივე თბილისი); ინსპექტორი: უ. ფურცელაძე

ახალციხე. 22 ნოემბერი. 13.30 საათი. ცენტრალური

## მესხეთი — სიონი (0:2)

მსაჯები: ა. შილაკაძე; დ. ხარიტონაშვილი, მ. ურუშაძე (სამივე თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი); ინსპექტორი: ა. მილჩენკო

ფოთი. 22 ნოემბერი. 13.30 საათი. ფაზისი

## კოლხეთი — ბათუმი (2:0)

მსაჯები: პ. დოგრაშვილი; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; გ. კიკაჩეიშვილი (ყველა ქუთაისი); ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა

თბილისი. 22 ნოემბერი. 13.30 საათი. ოლიმპი

## თბილისი — ლოკომოტივი (0:1)

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), გ. დოგრაშვილი (ქუთაისი); დ. ხანაია (სოხუმი); ინსპექტორი: ს. კუტივაძე

ქუთაისი. 22 ნოემბერი. 13.30 საათი. ტორპედო

## ტორპედო — ვიტ ჯორჯია (0:1)

მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ა. სამხარაძე (სოხუმი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); ინსპექტორი: ს. კვარაცხელია

# საჩხერე — აი, ინტრიგა

**აბა,** კენჭისყრის შემდეგ ვინ წარმოიდგენდა, რომ მერვედფინალის საპასუხო შეხვედრაში ყველაზე დიდი ინტრიგა „ჩიხურა“ — „დინამოს“ ექნებოდა? დინამოელებმა შინ 0:0 ითამაშეს პირველი ლიგის ლიდერთან, რომელიც მართლაც კარგი გუნდი ჩანს და, დღეს რომც დამარცხდეს, მოდით, ასე ვთქვათ — მათ თავიანთი ძალა უკვე დაამტკიცეს. ისე კი, კახა ცხადაძის გუნდს სერიოზულობა მართებს, საჩხერეში უფრო გაგულისებული იქნება „ჩიხურა“ და...

ასევე საინტერესო წყვილია „ტორპედო“ — „ვიტ ჯორჯია“, თუმც ვიტელები საშინაო 1:0-ის შემდეგ, ცხადია, ფავორიტები არიან.

„თბილისიც“ შეეცდება „ლოკომოტივის“ დაჩაგვრას, თუმცა არც აქ ფასობს შანსები თანაბრად — წესით, რკინიგზელები უნდა ვაკილნენ.

დანარჩენ წყვილებში კი, ალბათ, ყველაფერი პირველი მატჩების შემდეგ გადაწყდა და სენსაციებს მაინცდამაინც არ ველით.

# პროფლიგამ სათასო ონლაინიც დაქოქა

**საქართველოს** პროფესიული ფეხბურთის ლიგის ცნობით, დღევანდელი სათასო მატჩი „სოხუმსა“ და „ბორჯომს“ შორის 13 საათზე დაიწყება და გაიმართება არა „შევარდენზე“, არამედ „ოლიმპის“ ბავშვთა საფეხბურთო სკოლის მოედანზე.

ამასთან, დღეიდან პროფლიგის ვებგვერდზე (www.pfl.ge) ონლაინანგარიშები სათასო მატჩებსაც ექნება. აქამდე პროფლიგის ონლაინი მხოლოდ ჩემპიონატის თამაშებზე მუშაობდა.

**ინგლისი**

პრემიერლიგა. XIII ტური

ბირმინგემი — ბოლტონი გადაიდო

**საბერძნეთი**

ეროვნული ლიგა. X ტური

აკრატიტოსი 1:2 აეკ

**იტალია**

სერია B. XVI ტური

კროტონე 0:1 რიმინი

სერია C1/B. XII ტური

პიზა 1:4 ლანჩანო

**გერმანია**

მეორე ბუნდესლიგა XIII ტური

პანზა 0:0 კოტბუსი

**პორტუგალია**

სუპერლიგა. XI ტური

ბელენენსეში 0:1 მარიტიმუ

**ჰოლანდია**

მეორე დივიზიონი გადადებული მატჩი

დენ ბოსხი 1:1 ვენლო

# ახალკაცი საქმეს უეფაში იწყებს



**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი და გენმდივანი გრიგოლ ცაავა გუშინ შვეიცარიაში ევროპელ კოლეგებთან და უეფას ხელმძღვანელებთან შესახვედრად გაემგზავრნენ.

უეფას ამგვარ შეკრებებზე ტრადიციულ და მიმდინარე საკითხებს განიხილავენ ხოლმე. თუმც, შევიტყვეთ, რომ ფედერაციის პრეზიდენტის ევროპული ვოიაჟი მხოლოდ შვეიცარიით არ შემოიფარგლება და რამდენიმე დღით გერმანიასაც ეწვევა, გენმდივანი კი თბილისში შვეიცარიიდანვე დაბრუნდება.

ითქვა, რომ ნოდარ ახალკაცის გერმანული ვიზიტი საქართველოს ნაკრებისთვის მწვრთნელის მოძიებას უკავშირდებაო. ვნახოთ, პრეზიდენტი ერთ კვირაში უნდა დაბრუნდეს.

**ქოგა ინასარიძე**

# მელქაძემ დინამოს უიღბლოთა ნაკრები შეკრა

**თბილისის** „დინამოს“ ლაზარეთს კიდევ ერთი პაციენტი, ამჯერად წინა ჩემპიონატის ბომბარდირი, საუკეთესო თავდამსხმელი და ფეხბურთელი, ლევან მელქაძე შეემატა. ლევანი ფოთში „კოლხეთთან“ მატჩის წინ დაშავდა და ექიმების თქმით, წლეულს ვეღარ ითამაშებს — მას კუნთი აქვს დაჭიმული.

ლევან მელქაძე, ვინც შარშანდელი წარმატების შემდეგ მიმდინარე ჩემპიონატში ძველებურად შედეგიანი ველარ არის და აქამდე ერთადერთი გოლი აქვს გატანილი, სადღეისოდ „დინამოსთვის“ მერვე ტრავმირებული ფეხბურთელია.

ირაკლი ზოიძე, შოთა კაშია, გიორგი ნავალოვსკი, გიორგი ნერგაძე, შოთა გრიგალაშვილი, შოთა ბაბუნაშვილი და სანდრო იაშვილი „დინამოს“ ადრე დააკლდნენ, ახლა კი მელქაძეც...

საინტერესოა, რომ „დინამოს“ ვებგვერდმა ამ ფეხბურთელებს სულ ახლახან გამოჯანმრთელებული სერგო ორბელაძე, ორი თვის წინ ოდესის „ჩერნომორეცში“ წასული ილია კანდელაკი და მიზეზთა გამო გუნდთან არმყოფი დავით ოდიკაძე დაუმატა და უიღბლოთა ერთგვარი ნაკრებიც მიიღო...

**ქოგა ინასარიძე**

# ცხოვრება გრძელდება, კონფლიქტი კვდება





*რუსული პრემიერლიგის ბოლო ტურში „ლოკომოტივ“ — „სპარტაკის“ მატჩი ქართველთათვის ძალიან საინტერესო იყო, არაფერს ვამბობთ რუსებზე, რომლებიც დღემდე ეხმაურებიან პრემიერლიგის ფინალად მონათლულ ამ შეხვედრას და ეს ინტერვიუებიც ამის დასტურია. რკინიგზელებმა მოგება ვერ შეძლეს და ჩემპიონთა ლიგის გზა „სპარტაკს“ დაუთმეს.*

*თუმცა ჩვენ ჩვენი ვთქვათ: მალხაზ ასათიანს, ვინც მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს და ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც შეიყვანეს, გოლის შემდეგ მეტოქის პოლონელ მეკარე ვოიცეხ კოვალევსკისთან შელაპარაკება მოუვიდა.*

*იქამდე კი იყო უკვე ტრადიციად ქცეული „ბარტერი“ — მალხაზ ასათიანმა დაცვა ნახევარდაცვაზე გაცვალა და მთელი მეორე ტაიმი „ლოკომოტივის“ თამაში მას მიჰყავდა. სწორედ მაშინ იყო, რკინიგზელთა ქომაგებმა იოგები რომ დაიჭიმეს და „მალხაზ! მალხაზ!“-ის ძახილი ატეხეს...*

— გუნდისთვის არასასურველ ფრეს ალბათ შენი წარმატება ოდნავ მაინც შეგიმსუბუქებდა...

— რა წარმატება?! გოლი კი გავიტანე, მაგრამ ამით ვერაფერი მივიღეთ, გუნდმა ვერ მოიგო.

— გესმოდა ქომაგების შეძახილები?

— კი და ძალიან მადლობელი ვარ მათი. საწყენია, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზური ვერ მოვიპოვეთ და მათ გული დავწყვიტეთ.

— თამაშზე რას იტყვი?

— ძალიან საინტერესო და დაძაბული იყო. კარგი იქნებოდა, გიორგი ჭელიძეს თავისი შანსი რომ გამოეყენებინა და გაეტანა, მაგრამ...

— მას გასახდელში რამე უთხრეს?

— რა უნდა ეთქვათ?! ის მომენტი უკვე წასულია და ვინ რას შეცვლის? ასეთი გარჩევები არ ყოფილა და არც იქნება, რადგან აზრი არა აქვს.

— 86-ე წუთზე, როცა ანგარიში 1:1 გახდა, მოგების რა შანსი გქონდათ?

— ბევრი არაფერი. კი ვეცადეთ, მაგრამ...

— შენი გოლის მერე კოვალევსკისთან უთანხმოება მოგივიდა...

— ასეთები ფეხბურთში ხშირად ხდება. მით უმეტეს, ბოლო წუთები იყო. კოვალევსკიმ ბადიდან ბურთი გამოიტანა და არ გვაძლევდა. ჩვენ წართმევას ვუპირებდით და ამან გამოიწვია ყველაფერი.

— კი მაგრამ, თამაშის დამთავრების მერე კონფლიქტი უფრო გართულდა...

— ზედმეტმა ემოციურმა ფონმა თავისი გააკეთა, თუმც ჩვენი კამათი მოედანს არ გასცილებია. მომხდარი ორივემ უკვე დავივიწყეთ. ყოველ შემთხვევაში, მე ნაღდად არ ვაპირებ გაგრძელებას...

*და მაინც: „ლოკომოტივის“ შანსი 19 წლის გიორგი ჭელიძე იყო — ახალგაზრდა ქართველი თავდამსხმელი, რომელიც თასიან-ჩემპიონატიანად ოდენ მესამე მატჩს ატარებდა მოსკოვურ გუნდში, ძირითადში კი სულაც პირველად იყო...*

— ძირითადში რომ ვითამაშებდი, თამაშის წინ, გასახდელში გავიგე. რა თქმა უნდა, ვღელავდი...

— გოლის გატანის ყველაზე რეალური შანსი შენ გქონდა...

— მართლაც კარგი მომენტი იყო. თითქოს ყველაფერი სწორად გავაკეთე — იქ დავარტყი, სადაც უნდა დამერტყა, მაგრამ მეკარემ მაინც შეძლო მოგერიება. ძალიან საწყენია...

— ამის შემდეგ კი თითქოს სადღაც გაუჩინარდი...

— ძალიან ვინერვიულე, მომენტი რომ გავაცუდე.

— რა გითხრეს მწვრთნელმა და თანაგუნდელებმა თამაშის შემდეგ?

— განსაკუთრებული არაფერი. თავადაც ვიცი, რომ ცხოვრება ამ თამაშით არ დამთავრებულა, თუმც ჩემპიონთა ლიგა ძალიან ახლოს იყო...



გადერ ქოთოლაძის ფოტო

# კახა კალაძე: მწვრთნელს მე არ დავნიშნავ

*საქართველოს ნაკრების კაპიტან კახა კალაძეს უკვე რა ხანია, „მილანში“ არ უთამაშია. ბოლოს ის ძირითად შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგის წინა ტურში, პსვ-სთან მატჩისას იყო, თუმც მაშინაც შესვენებაზე შეცვალეს.*

*კახას არც ამ უქმეებზე ფლორენციაში წაგებულ შეხვედრაში უთამაშია. ამ დროს კი თბილისში საქართველოს ნაკრების მწვრთნელი მოხსნეს და მილანელ ჩვენიანსაც გუშინ სწორედ ამ ამბების გამო დავუკავშირდით...*

— პრობლემა არ მაქვს, ოთხშაბათს თურქეთში „ფენერბაჰჩესთან“ ჩემპიონთა ლიგის მნიშვნელოვანი მატჩი გველის და მწვრთნელიც ამისთვის მამზადებს. „ფიორენტინასთან“ შეხვედრამდე ორი დღით ადრე ვიცოდი, რომ არ ვითამაშებდი. სტამბოლში კი აუცილებლად ძირითადში ვიქნები.

— „მილანის“ „ფიორენტინასთან“ წაგება მოულოდნელი იყო...

— ცხადია, წაგება საწყენია, მაგრამ ახლა უკვე „ფენერბაჰჩესთან“ მატჩზე ვფიქრობთ. თუ ვერ მოვიგეთ, შემდგომ ეტაპზე გასვლის შანსები მნიშვნელოვნად შეგვიმცირდება. ამიტომაც „ფიორენტინაზე“ პრინციპული მეტოქე „მილანს“ სტამბოლში ელის.

— საქართველოს ნაკრების საშველი რა იქნება?

— ადრეც მითქვამს და ახლაც გავიმეორებ — ეს ფეხბურთის ფედერაციაში უკეთ იციან.

— გაიოზ დარსაძის გათავისუფლება შენთვის მოულოდნელი იყო?

— ფეხბურთელის საქმე ფეხბურთის თამაშია, დანარჩენი ფედერაციის საქმეა.

— არ სჯობდა, ნაკრები ალენ ჟირესის მოხსნისთანავე ისეთი მწვრთნელისთვის ჩაებარებინათ, რომელიც მომავალ შესარჩევ ციკლს დაიწყებდა და რამდენიმე თვეში მოსახსნელი არ იქნებოდა?

— არა უშავს, ახალი შესარჩევი ციკლი სექტემბერში იწყება და ახალ მწვრთნელს სამუშაოდ საკმაო დრო ექნება. ფედერაცია ამ ნაკრებისთვის ამხანაგურ მატჩებს ალბათ არ მოგვაწყობს და მწვრთნელიც ჩვენს შესაძლებლობებში ბოლომდე გარკვევას მოასწრებს. ახლა მთავარია, ახალი მწვრთნელი მალე დანიშნონ.

— ვინ უნდა იყოს ის?

— აუცილებლად სახელოვანი, ავტორიტეტული, გამოცდილი მწვრთნელი და კარგი იქნება, თუ მის თანაშემწედ ახალგაზრდა ქართველი დაინიშნება. გამოცდილი უცხოელის მხარდამხარ ის გაიზრდება და სამომავლოდ გამოგვადგება.

— ნაკრების მწვრთნელის დანიშვნის საქმეში ადრე შენც აქტიურად მონაწილეობდი. მაგალითად, ჟირესამდე ფეხბურთის ფედერაცია შენი აზრით სასურველ კანდიდატებსაც განიხილავდა...

— მაშინ ფედერაციას მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელის ჩეზარე მალდინის კანდიდატურა შევთავაზე, მაგრამ მასთან მოსალაპარაკებლად მილანში არავინ ჩამოსულა.

— ახლა რას ფიქრობ?

— არაფერს. მწვრთნელის დანიშვნის საქმეში აღარ ჩავერევი. ეს ფედერაციამ უნდა გააკეთოს, კალაძე კი ითამაშებს. საშუალო დონის მწვრთნელის მოწვევას აზრი არ აქვს, თუ უცხოელი იქნება, გამოცდილი და ავტორიტეტული უნდა იყოს.

**კობა ინასარიძე**

*ჩვენ, სპორტულ ჟურნალისტთა ბნელმა ნაწილმა, გაიოზ დარსაძე საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გავუშვით. მოვექეცით უმადურად და ხალხიც აჰვყოლიეთ — ასე თვლიან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი, რომელთა შაბათს ჩატარებული პრესკონფერენციის ანგარიში გუშინდელ სპორტულ გაზეთებში შეგეძლოთ წაგეკითხათ.*

*ამ სიტყვების მიღმა კი, ალბათ, ესეც იგულისხმება: არ გინდოდათ დარსაძე, ახლა ნახავთ, რა დღეშიც ჩავარდება ქართული ფეხბურთი!*

*ნახსენები პრესკონფერენციის მშრალი ანგარიში გუშინ წარმოგიდგინეთ, დავწერეთ ის, რაც ბატონებმა ახალკაცმა და ქავთარაძემ თქვეს. დღეს კი შაბათის პრესკონფერენციიდან რამდენიმე ციტატას ამოვკრებთ და ჩვენეულ კომენტარებს დავურთავთ...*

# ბნელა კი არა, ნელა, ბატონებო

დარსაძემ გამოსცადა ახალგაზრდა ფეხბურთელები, რითაც უდიდეს რისკზე წავიდა და დაამტკიცა, რომ დიდი სპეციალისტია.

თუ დიდი სპეციალისტობისთვის ახალგაზრდა ფეხბურთელების გამოცდა საკმარისია, ასეთ ვარიანტს გთავაზობთ: დააყენეთ ნაკრების მწვრთნელად თქვენ მიერ დაწუნებული რომელიმე ჟურნალისტი, რომელიც სულ მთლად უწვერულ ბავშვებს გამოცდის, რითაც კიდევ უფრო დიდ რისკზე წავა და ვუძახოთ მერე დიდზე დიდი სპეციალისტი.

თუმცა, ეგებ, ამის გამოა ბატონი გაიოზი დიდი სპეციალისტი:

გუნდი აბსოლუტურად დაშლილი და დემორალიზებული იყო. გაიოზ დარსაძემ, როგორც ნამდვილმა გმირმა, თავი გადადო და პირდაპირ ომში შევარდა. ვფიქრობდით და ახლაც ვფიქრობთ, რომ სწორედ მისი დამსახურებაა ის, რომ ნაკრები დღეს ერთ მუშტად შეკრული, გამარჯვებებისთვის მებრძოლი გუნდია.

ეს არგუმენტი, ბატონი გაიოზის დიდი მწვრთნელობის დასამტკიცებლად, ვაღიარებთ, წინა არგუმენტზე ძლიერია. საკითხავი მხოლოდ ის არის, მართლა შეკრა თუ არა ბატონმა გაიოზმა დემორალიზებული გუნდი.

არა, მაინც რას ემყარება ფედერაციის მესვეურთა ამგვარი მტკიცება? იმას, რომ ფეხბურთელები თვითმფრინავში ჯოკერს აღარ თამაშობენ და სავახშმოდაც ერთად შედიან სასადილოში? ასე უნდა იყოს, რადგან სხვა არგუმენტები ფედერაციის პრეზიდენტისგან ჩვენ ვერ მოვისმინეთ.

სამაგიეროდ, სხვა რამეებს ვისმენთ — ფეხბურთელებისგან ვისმენთ პირად საუბრებში.

იცით, როგორ არის: ჟურნალისტი ურეკავს ან ხვდება ნაკრების ფეხბურთელს, რომელიც ჟურნალისტს ეუბნება იმას, რასაც ფიქრობს, მაგრამ იქვე სთხოვს, თუ ძმა ხარ, ეს გაზეთში არ დაწეროო, მწვრთნელი ამითვალწუნებს და რად მინდაო. ამგვარი შემთხვევები კი, გარწმუნებთ, საკმაოდ ხშირია. და რა ქნას ამ დროს ჟურნალისტმა? ყველაფერს ვერ წერს, რადგან რესპონდენტისგან ნებართვა არ აქვს, არადა, იცის, რომ ნაკრებში ყველაფერი ისე არ არის, როგორც ამას ფედერაციის პრეზიდენტი ხატავს. ამიტომაცაა, რომ ჩვენ, ბატონო ნოდარ, არ გვჯერა, რომ საქართველოს ნაკრები გაიოზ დარსაძის ხელში ერთ მუშტად შეკრულ გუნდად იქცა.

ვუსმენთ ხოლმე ნაკრების რიგ ფეხბურთელებს და ვგრძნობთ, რომ მათთვის გაიოზ დარსაძე ავტორიტეტი არ არის, ხოლო პიროვნება, რომელსაც ავტორიტეტი არ აქვს, ნაკრებს ერთ მუშტად ვერ შეკრავს. ჯოკერი? ჯოკრის თამაშის აკრძალვა ნებისმიერ ძალაუფლების მქონე ადამიანს შეუძლია და ავტორიტეტის ქონის უტყუარ საბუთად ვერ გამოდგება. ძალაუფლება და ავტორიტეტი კი, ალბათ დაგვეთანხმებით, ერთიდაიგივე არ არის.

ზოგ ჟურნალისტს დღესაც ჰგონია, რომ ნაკრების ფეხბურთელებს ჩვენი ტექსტით ვალაპარაკებთ და იმას ვათქმევინებთ, რაც გვსურს. თუ ასეა, მაშინ მაგრები ვყოფილვართ. ასე ნამდვილად არაა და ამის თქმა სისულელეა.

რასაც ამბობენ ნაკრების მთელი რიგი ფეხბურთელები, ზემოთაც მოგახსენეთ და ერთსაც დავძენთ: გაიოზ დარსაძე ნაკრების მეცამეტე მწვრთნელი იყო და წინა თორმეტის დროსაც ფეხბურთელები იგივეს ამბობდნენ, ასეთი შეკრული გუნდი, ამა და ამ მწვრთნელის ხელში რომ ვართ, არასდროს ვყოფილვართო. ასე არ არის? აბა, გაიხსენეთ თუნდაც ერთი შემთხვევა, ნაკრების მოქმედ ფეხბურთელს ნაკრების მოქმედ მწვრთნელზე აუგი დასცდენოდეს.

ერთში კი გეთანხმებით: თქვენ ფეხბურთელებს არ უბრძანებთ, ასე და ასე თქვითო, რადგან ეს საჭირო არც არის — ფეხბურთელები თავად აკეთებენ „პოლიტკორექტულ“ კომენტარებს, რადგან საკუთარ სანაკრებო კარიერას უფრთხილდებიან.

ფრანკო ფერარი კარგი კანდიდატურაა, მაგრამ ვერ შევწვდებით. ის 2,5-3 მილიონს მოითხოვს. კი გვინდა, მაგრამ...

რა თქვით, რამდენს მოითხოვს? ვალები აქვს და ჩვენს ხარჯზე უნდა გასტუმრება? ფერარი თუ 3 მილიონი ღირს, მაურინიუ, ფერგიუსონი, კაპელო და კიდევ რამდენიმე მწვრთნელი 30 მილიონი უნდა ღირდნენ, მაგრამ ამდენს არც ერთს არ უხდიან.

არა, მაინც საიდან მოიტანეთ სამი მილიონი? ჩვენ აზრით, მულტიმილიონიან მწვრთნელებს ამდენ ფულს დამსახურებების გამო უხდიან. და რა დამსახურება აქვს ფერარის: ის, რომ სერსე კოზმი ურეკავს წაგებული თამაშის მერე, ფერარი კი ანუგეშებს? თუ გაიოზ დარსაძის გვერდით მუშაობით მიილო გამოცდილება? არა, კი გვსმენია, როგორ გაიზარდა ჟოზე მაურინიუ ბობი რობსონის გვერდით, მაგრამ...

ბოლო ორ მატჩში გუნდი ფიზიკურად მეტოქეზე უკეთ მომზადებული იყო.

იყო თუ არ იყო, ამაზე კამათი შეგვიძლია, მაგრამ არ ვაპირებთ. სხვა რამ გვინდა ვიკითხოთ. დავუშვათ, იყო და ამით რისი თქმა გნებავთ, რომ ეს გაიოზ დარსაძის შტაბის დამსახურებაა? გევედრებით, ნუ გვეტყვით, რომ რამდენიმე ვარჯიშის მერე მოლასლასე ფეხბურთელი მფრინავ ბედაურად შეიძლება აქციო.

დღეს სახელმწიფოს ნდობა იმხელაა, რომ მწვრთნელის დაფინანსებაზე მიდის საუბარი.

დაფინანსებაზე რომ მიდის საუბარი, ძალიანაც კარგია, მაგრამ ნდობისა რა გითხრათ. როგორც გვახსოვს, ხელისუფლება მაინცდამაინც კმაყოფილი არ იყო ბატონი გაიოზის მუშაობით.

მოდით, ლოგიკური ჯაჭვი შევკრათ: თქვენ კმაყოფილი ხართ დარსაძის მუშაობით, ხელისუფლება კი არა. ანუ თქვენ და ხელისუფლებას საკითხის განსხვავებული ხედვა გაგაჩნიათ. შესაბამისად, ნდობაზე ლაპარაკი ცოტა გადამეტებულად გვეჩვენება. ალბათ, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით: ხელისუფლება ფულს იმიტომ კი არ გამოდის, რომ ბრმად გენდობათ, არამედ „ფული არ გვაქვს, მწვრთნელი ვერ მოგვყავს“ პრობლემის გადაჭრის საშუალებას გაძლევთ.

ისე, თქვენ მუდამ ისე აღფრთოვანებული იყავით და ხართ ბატონი გაიოზის მუშაობით, არა გვგონია, კარგი უცხოელი მწვრთნელის მოყვანაზე ოდესმე მართლა გეფიქრათ.

ციტატების კომენტირება კიდევ შეგვიძლია განვაგრძოთ, მაგრამ ესეც საკმარისი უნდა იყოს. ბოლოსთვის კი ერთ ციტატასაც გავაანალიზებს, რომლის შინაარსსაც სანახევროდ ვეთანხმებით:

ნახევარზე მეტი ქართველი იორდანიას ქომაგობდა, ეს ნორმალურია?

არ არის, ბატონებო, ნორმალური, გეთანხმებით, მაგრამ ჩვენ რატომ გვაბრალებთ ამას? გინდათ, თქვათ, რომ გულშემატკივრებს თამაში მოეწონათ, მაგრამ ჟურნალისტებისგან ზომბირებულებმა, „გაიოზ წადი!“ მაინც იყვირეს?

ჩვენ კი არ ვაყენებთ პიროვნულ შეურაცხყოფას ბატონ გაიოზს, ამით თქვენ აყენებთ შეურაცხყოფას გულშემატკივრებს.

*გულშემატკივრები — ადამიანთა ჯგუფი, რომელთათვისაც თამაშობს გუნდი და რომელთათვისაც კეთდება სპორტული გაზეთი.*

*ერთი ასეთი გულშემატკივრის წერილის ერთ აბზაცს კი რუბრიკა geo_geo_fan-იდან ვისესხებთ.*

*aka_mikelashvili: ღირს კი სიხარული გაიოზის წასვლის გამო? მგონი, არა, რადგან მეორე წავიდა, ხოლო პირველი დარჩა.*

**ბოტე ბებელია**

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

გენერალური სპონსორი

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

პირველი წრე

14 ტური მიმოხილვა

# გაუფრთხილდით ბოლო წუთებს

## ჭარმაგი მეგოლეების იმერული დამთხვევები

ფეხბურთი 90 წუთი გრძელდება — ეს გაცვეთილი ფრაზა საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრის ბოლოსწინა ტურში როგორ არ გაგვახსენდებოდა. რამდენიმე საკვანძო მატჩში სწორედ ბოლო წუთებზე გატანილმა გოლებმა გაახარ-დაამწუხრა წამგებ-მომგები: რა თქმა უნდა, იყო ტრადიციული მსაჯებზე დამდურება, გაწევ-გამოწევაც.

ბოლო წუთის დრამით დავიწყოთ, ანუ იმით, რაც მოხდა გლდანში „ამერი" — „სიონის" თამაშზე. მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე ბოლნისელი გიორგი ქუცურუას საჯარიმოდან ჩაწოდებულზე ამერელთა მეკარე ლადო ნადირაშვილი დაიბნა, უფრო სწორად, მზემ მოსჭრა თვალი და ასე გავიდა არაფრისგან გამოჩორკნილი გოლი. კი, თითქოს 0:0 ლოგიკური უნდა ყოფილიყო, მაგრამ ბოლო ათ წუთში ამერელები ჯერ არჩათვლილმა გოლმა, მერე კი არდანიშნულმა პენალტმა გააბრაზა. როგორც სხვა შედეგებმა გვაჩვენა, „ამერი" მოგების შემთხვევაში მეორე ადგილზე აინაცვლებდა, ასე კი მეხუთეზე დარჩა — მეორე სწორედ „სიონია".

მატჩის მილეულს მოიგო ორივე იმერულმა გუნდმა, ორივემ 83-ე წუთზე გატანილი პენალტით და ორივემ — 1:0. „ტორპედო" ბევრს ელაციცა სტუმარ „სპარტაკის" კარს და, როგორც იქნა, ვეტერანი დავით ჯანაშიას პენალტით გატეხა. „ზესტაფონიდანაც" ჯანაშიას თაობის კაცმა, საქართველოს ჩემპიონატის მარადმეგოლე ზურაბ იონანიძემ მიითვალა თავისი წილი.

ჰო, კიდევ ერთი დამთხვევა ჯანაშია-იონანიძის გოლებში ის იყო, რომ მათმა მეტოქეებმა პენალტი ხელით თამაშისას „აიკიდეს". რა ვქნათ, მისტიკას ხომ არ მივაწეროთ ეს ამბები?

მოკლედ, თემურ მახარაძე იღბლიანად დაუბრუნდა „ზესტაფონს", ფეროელები ნელ-ნელა ისევ მოდიან ფერზე, მაგრამ ლიდერთა ჯგუფს კვლავაც საკმაოდ ჩამორჩებიან.



„ამერი" — „სიონი" 0:1 გიორგი ქუცურუას (მარცხნივ) კურიოზული გოლი მასპინძელთა კარში

ბადრი ქავთარაძის ფოტო

ტურის კიდევ ერთ ცენტრალურ მატჩში „ლოკომოტივმა" „ბორჯომს" აშკარად აჯობა და ალალად მიითვალა სამი ქულა. დავით სირაძეს არ გაუტანია, მაგრამ ორივე საგოლე პასი მისი იყო და საერთოდაც, გამორჩეული გახლდათ მინდორზე. სოსო ფრუიძის „ბორჯომი" მეექვსე ადგილზე დარჩა, „ლოკომოტივი" კი მესამეზე ახტა.

რატომ? „ამერისა" არ იყოს, ვერც „დინამომ" იმარჯვა. ექვსმატჩიანი მოგებათა სერიის შემდეგ კახა ცხადაძის გუნდი ფოთში „კოლხეთმა" წააბორძიკა — 0:0.

ტურის კიდევ ერთი უფერული და უგოლო ფრე ბათუმში დაფიქსირდა. „ცხინვალი" ნაღდად არაა ის დონე, ზღვისპირელებმა შინ ვერ გადასძალონ, მაგრამ...

„მე ბალეტი არ მჭირდება. საქართველოს ჩემპიონატში რომ ფეხბურთელი ვერ ირბენს, იმან ვეტერანთა ლიგაში უნდა ითამაშოს. ვისაც თამაში შეუძლია, არ ინდომებს და ვისაც არ შეუძლია, ისეთებიც გვყავს" — ესაა „ბათუმის" თავკაც ოთარ გაბელიას ნათქვამი, რომელშიც სიმართლის კარგა მოზრდილი მარცვალია.

ბოლოს ლიდერზე: „ვიტ ჯორჯიას" გორში „დილასთან" რატომღაც რომ ვერ მოიგო და რატომღაც რომ ოთარ მარცვალაძე უგოლოდ დარჩენილიყო. გორელებმა ყოჩაღი სტუმარი კი აანერვიულეს, მაგრამ ძალამ აღმართი მოხნა: მარცვალაძე უკვე 14-გოლიანია, „ვიტ ჯორჯიამ" კი, სულ ცოტა, პირველი ეტაპის თანაჩემპიონობა გაინაღდა. ზამთრის შესვენებაზე ვიტელთა რიგები თუ არ შეთხელდა, ვინძლო, „მწვანეებმა" ქართული ოქრო დაიბრუნონ...

**ილია ნანოგაშვილი**

### სიმბოლური ნაკრები

| | |
|---|---|
| ზურაბ იონანიძე | ზესტაფონი |
| ოთარ მარცვალაძე | ვიტ ჯორჯია |
| დავით სირაძე | ლოკომოტივი |
| გიორგი თურმანიძე | ზესტაფონი |
| გრიგოლ დოლიძე | სიონი |
| გიორგი დათუნაიშვილი | ვიტ ჯორჯია |
| რონ ონიანი | ლოკომოტივი |
| მიხეილ მახვილაძე | ლოკომოტივი |
| ლევან მერებაშვილი | სიონი |
| კახა ალადაშვილი | დინამო |
| გრიგოლ ჭანტურია | ლოკომოტივი |

გუნდი: ლოკომოტივი

მწვრთნელი: ხვიჩა ქასრაშვილი

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 14-მარცვალაძე | ვიტ ჯორჯია |
| 9-დვალი | სიონი |
| 7-ქუთათელაძე | კოლხეთი |
| ქორიძე | ბორჯომი |
| 6-დოლიძე | სიონი |
| მეგრელაძე | დინამო |
| დავითაშვილი | ამერი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 14 | 11 | 2 | 1 | 33:10 | 35 |
| სიონი | 14 | 10 | 2 | 2 | 25:11 | 32 |
| ლოკომოტივი | 14 | 9 | 3 | 2 | 20:6 | 30 |
| დინამო | 14 | 9 | 2 | 3 | 21:7 | 29 |
| ამერი | 14 | 9 | 1 | 4 | 15:9 | 28 |
| ბორჯომი | 14 | 9 | 0 | 5 | 25:12 | 27 |
| ზესტაფონი | 14 | 7 | 3 | 4 | 14:11 | 24 |
| ბათუმი | 14 | 6 | 3 | 5 | 13:12 | 21 |
| კოლხეთი | 14 | 6 | 1 | 7 | 13:16 | 19 |
| დილა | 14 | 5 | 1 | 8 | 18:19 | 16 |
| კახეთი | 14 | 5 | 1 | 8 | 14:21 | 16 |
| ტორპედო | 14 | 3 | 4 | 7 | 9:14 | 13 |
| ცხინვალი | 14 | 3 | 3 | 8 | 9:23 | 12 |
| სოხუმი | 14 | 3 | 1 | 10 | 14:32 | 10 |
| სპარტაკი | 14 | 1 | 2 | 11 | 3:22 | 5 |
| თბილისი | 14 | 1 | 1 | 12 | 9:29 | 4 |

| სტადიონი | მატჩი | მინდვრის მდგომარეობა | ორგანიზაცია | დასწრება | საშუალო ბალი |
|---|---|---|---|---|---|
| „ამერი" თბილისი | ამერი 0:1 სიონი | 9,5 | 8,0 | 9,0 | 8,8 |
| „ტორპედო" ქუთაისი | ტორპედო 1:0 სპარტაკი | 9,0 | 7,5 | 9,0 | 8,5 |
| „ზივი ჩოხელი" თელავი | კახეთი 1:1 თბილისი | 8,0 | 7,0 | 5,0 | 6,6 |
| „შევარდენი" თბილისი | სოხუმი 0:1 ზესტაფონი | 6,5 | 6,5 | 5,0 | 6,0 |
| „მიხეილ მესხი" თბილისი | ლოკომოტივი 2:1 ბორჯომი | 6,5 | 6,5 | 4,0 | 5,6 |
| „თენგიზ ბურჯანაძე" გორი | დილა 1:3 ვიტ ჯორჯია | 6,5 | 6,0 | 4,0 | 5,5 |
| „დინამო" ბათუმი | ბათუმი 0:0 ცხინვალი | 6,0 | 6,5 | 4,0 | 5,5 |
| „ფაზისი" ფოთი | კოლხეთი 0:0 დინამო | 6,5 | 6,0 | 3,0 | 5,1 |

### მომდევნო ტური

26 ნოემბერი, შაბათი

თბილისი – ამერი

ცხინვალი – კოლხეთი

ვიტ ჯორჯია – ბათუმი

ბორჯომი – დილა

სიონი – ტორპედო

27 ნოემბერი, კვირა

ზესტაფონი – კახეთი

დინამო – სოხუმი

28 ნოემბერი, ორშაბათი

სპარტაკი – ლოკომოტივი

# ქართველები უცხოეთში




ლევან ცქიტიშვილის „ვოლფსბურგი" იოან მიკუს (№10) „ვერდერს" დაეჩაგვრინა

## დაგლეჯილი მგლები

### ანართოსისმა მოიგო, ანუ ქეცბაია დაბრუნდა

*ამ უქმეების ყველაზე საინტერესო ქართული ამბავი მოსკოვში იყო.* „ლოკომოტივი" ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის „სპარტაკს" ეთამაშებოდა და უეჭველი მოგება სჭირდებოდა. რკინიგზელთა ძირითადში ორმა ქართველმა ითამაშა — *გიორგი ჭელიძე* 66-ე წუთზე შეცვალეს, *მალხაზ ასათიანმა* კი 90 წუთი დაყო მოედანზე და მატჩის საუკეთესო ფეხბურთელადაც დაასახელეს. „ასკამ" ბოლოსკენ ლამაზი გოლით გაათანაბრა ანგარიში, თუმცა „ლოკომოტივს" ამან ვერ უშველა. პრემიერლიგა კი დამთავრდა და ზამთარში ქართველთა მორიგ გადანაცვლებებს ველით.

*ტრავმის შემდეგ პირველად ითამაშა ლევან ცქიტიშვილმა, თუმც მისი დაბრუნება ძალიან უიღბლო გამოდგა „ვოლფსბურგისთვის".* „მგლებმა" 1:6 წააგეს „ვერდერთან" და მეათე ადგილამდე დაქვეითდნენ სატურნირო ცხრილში. ცქიტიშვილი ძირითადში იყო და 73-ე წუთზე შეცვალეს.

*საჭირო ქულა აიღო ზურაბ ხიზანიშვილის „ბლექბერნმა"* — სტუმრად „სიტისთან" 0:0 ითამაშა. ჩვენებური საკმაოდ საიმედოდ გაისარჯა, ოღონდ გაფრთხილებასაც გამოჰკრა ხელი.

*მეცამეტე მატჩში მეცხრე გოლი გაიტანა მიხეილ საჯაიამ,* მაგრამ მისი „ბაიროთი" „აუგსბურგთან" 2:7 განადგურდა. საინტერესო ისაა, რომ საჯაია რეგიონალლიგის ბომბარდირია, მისი გუნდი კი ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის.

*„მილანმა" სტუმრად 1:3 წააგო „ფიორენტინასთან" და საქართველოს ნაკრების კაპიტანი კახა კალაძე ამჯერადაც სათადარიგო იყო.* საკვირველია, რა პრინციპით თამაშობს კალაძე რეგულარულად ჩემპიონთა ლიგაში და იმავდროულად ტოვებს სერია A-ს ტურებს, თუმცა მილანელთა თავკაც კარლო ანჩელოტის საქმეში ჩარევა, აბა, რა ჩვენი საქმეა.

*უკრაინაში ვასილ გიგიაძემ იყოჩაღა.* „კრივბასმა" 3:1 მოუგო „ხარკოვს" და პირველი გოლი სტუმრებს ქართველმა თავდამსხმელმა გაუტანა. ახლა კრივოიროგელები მეთერთმეტე ადგილზე არიან.

*გამოცოცხლდა ფამაგუსტის „ანართოსისი", ანუ მოედანს დაუბრუნდა მისი მოთამაშე-მწვრთნელი თემურ ქეცბაია.* სანამ ჩვენებური ტრავმას იშუშებდა, „ანართოსისი" პანტაპუნტით კარგავდა ქულებს, ახლა კი სხვაგვარადაა. ფამაგუსტელებმა 2:1 მოუგეს „ოლიმპიაკოსს", რაშიც მეორე ქართველმა, *კლიმენტი წიტაიშვილმა* გოლით დაიდო წილი.

**ქახა ზალამბერიძე**




თემურ ქეცბაიამ ტრავმა მოიშუშა და მისი „ანართოსისიც" მოფერიანდა

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | ფიორენტინა 1:3 | 0 | სათადარიგო | 5 | 0 | 2 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | ს | კიოლნი 2:2 | 90 | | 13 | 0 | 4 |
| ლევან ცქიტიშვილი | ვოლფსბურგი | ს | ვერდერი 1:6 | 73 | შეცვალეს | 10 | 0 | 10 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | აალენი 3:0 | 90 | | 13 | 1 | 2 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი | შ | აალენი 3:0 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 2 |
| **გერმანია. ჩრდილოეთ რეგიონალლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | ზტ. პაული | | ტური გამოტოვა | | | 14 | 1 | 4 |
| **გერმანია. სამხრეთ რეგიონალლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ საჯაია | ბაიროითი | ს | აუგსბურგი 2:7 | 90 | 1 გოლი | 13 | 9 | 12 |
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი | ს | სიტი 0:0 | 90 | გააფრთხილეს | 9 | 0 | 12 |
| **ჰოლანდია. ერედივიზიონი** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | ალკმაარი | ს | გრონინგენი 0:0 | 90 | | 12 | 12 | 3 |
| გოგა გახოკიძე | ტვენტე | ს | აიაქსი 0:2 | 0 | ტრავმირებულია | 5 | 0 | 13 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | ს | რაპიდი 1:3 | 0 | განაცხადში არ იყო | 16 | 5 | 7 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | შ | სპარტაკი 1:1 | 90 | 1 გოლი, გააფრთხილეს | 29 | 2 | 3 |
| გიორგი ჭელიძე | ლოკომოტივი | შ | სპარტაკი 1:1 | 66 | შეცვალეს | 2 | 0 | 3 |
| რომან ახალკაცი | ლოკომოტივი | შ | სპარტაკი 1:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 3 |
| მათე ღვინიანიძე | ლოკომოტივი | შ | სპარტაკი 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 3 |
| მიხეილ აშვეთია | როსტოვი | ს | ზენიტი 2:4 | 0 | | 13 | 1 | 13 |
| გოჩა ხოჯავა | როსტოვი | ს | ზენიტი 2:4 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 1 | 0 | 13 |
| ბექა ჟღენტი | ტორპედო | შ | ამკარი 2:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 7 |
| ანზორ კალაძე | ტორპედო | შ | ამკარი 2:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 7 |
| ვიტალი დარასელია | ალანია | ს | ცსკა 3:4 | 0 | განაცხადში არ იყო | 18 | 1 | 15 |
| ლევან გვაზავა | ალანია | ს | ცსკა 3:4 | 0 | განაცხადში არ იყო | 6 | 0 | 15 |
| ლადო ბურდული | ალანია | ს | ცსკა 3:4 | 0 | განაცხადში არ იყო | 13 | 0 | 15 |
| დავით კვირკველია | ალანია | ს | ცსკა 3:4 | 0 | განაცხადში არ იყო | 13 | 0 | 15 |
| ჯაბა კანკავა | ალანია | ს | ცსკა 3:4 | 0 | განაცხადში არ იყო | 12 | 0 | 15 |
| გიორგი შაშიაშვილი | ალანია | ს | ცსკა 3:4 | 0 | განაცხადში არ იყო | 7 | 0 | 15 |
| გიორგი დემეტრაძე | ალანია | ს | ცსკა 3:4 | 0 | სათადარიგო | 11 | 2 | 15 |
| გიორგი ქინქლაძე | რუბინი | ს | შინიკი 2:3 | 0 | ტრავმირებულია | 9 | 2 | 4 |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი | ს | შინიკი 2:3 | 0 | სათადარიგო | 21 | 0 | 4 |
| ზურაბ არზიანი | რუბინი | ს | შინიკი 2:3 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 4 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | შ | დინამო 1:2 | 6 | შეცვლაზე ითამაშა, გააფრთ. | 2 | 1 | 15 |
| არჩილ ბაჯელიძე | მ. ზაპოროჟიე | შ | დინამო 1:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 15 |
| ლაშა ჯაკობია | მეტალისტი | შ | ილიჩევეცი 1:1 | 75 | შეცვალეს | 15 | 6 | 7 |
| გიორგი ციმაკურიძე | სტალი | შ | მ. დონეცკი 1:1 | 90 | | 15 | 1 | 10 |
| ილია კანდელაკი | ჩერნომორეცი | ს | არსენალი 1:0 | 90 | | 8 | 0 | 3 |
| ვასილ გიგიაძე | კრივბასი | შ | ხარკოვი 3:1 | 70 | 1 გოლი, შეცვალეს | 14 | 4 | 11 |
| ირაკლი ქორთუა | დინამო | ს | მ. ზაპოროჟიე 2:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| **საბერძნეთი. ეროვნული ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან მაღრაძე | ქსანთი | შ | იონიკოსი 1:1 | 45 | შეცვალეს | 9 | 0 | 4 |
| ამირან მუჯირი | კალითეა | შ | პაოკ 1:1 | 0 | | 7 | 0 | 16 |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | ს | ოლიმპიაკოსი 2:1 | 68 | შეცვალეს | 6 | 2 | 5 |
| კლიმენტი წიტაიშვილი | ანართოსისი | ს | ოლიმპიაკოსი 2:1 | 90 | 1 გოლი | 7 | 2 | 5 |
| გიორგი გაბიდაური | ანართოსისი | ს | ოლიმპიაკოსი 2:1 | 0 | | 3 | 0 | 5 |
| ლევან ქებაძე | აშნა | ს | სალამინა 1:2 | 0 | | 6 | 2 | 11 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ჯგუფური ეტაპი. V ტური. დღეს

## A ჯგუფი

### ბაიერნი — რაპიდი

მიუნხენი. „ალიანს არენა". მსაჯი: არტურო დაუდენ იბანიესი (ესპანეთი)

| ბაიერნი | რაპიდი |
| --- | --- |
| კანი, სანიოლი, ლუსიო, ისმაელი, ლიზარაზუ, ჰარგრივსი, დაისლერი, შვაინსტაიგერი, ქარიმი, მაკაი, პიზარო | პაიერი, ადამსკი, ჰიდენი, ბეიბლი, კატცერი, ს. მარტინესი, ს. ჰოფმანი, ვალახოვიჩი, ჰლინკა, ივანტშიცი, კინცლი |

### იუვენტუსი — ბრიუგე

ტურინი. „დელე ალპი". მსაჯი: რობ სტაილზი (ინგლისი)

| იუვენტუსი | ბრიუგე |
| --- | --- |
| აბიატი, ძამბროტა, ტურამი, კანავარო, კიელინი, კამორანეზი, ვიეირა, ემერსონი, ნედვედი, დელ პიერო, ტრეზეგე | ბუტინა, დე კოკი, ვალგაერენი, კლემანი, გვოზდენოვიჩი, ვერმანტი, ენგლებერტი, ი. ლეკო, ვერპეინი, პორტილიო, ლანგე |

## B ჯგუფი

### აიაქსი — სპარტა

ამსტერდამი. „ამსტერდამ არენა". მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

| აიაქსი | სპარტა |
| --- | --- |
| ვონკი, გრიგერა, ემანუელსონი, ვერმაელენი, მადურო, სნეიდერი, პიენაარი, მ. როსალესი, ნ. დე იონგი, ანასტასიუ, როსენბერგი | ბლაჟეკი, პეტრაში, პერგლი, ჰეტროუში, კუჩერა, ჰაშეკი, ზელენკა, სედლაჩეკი, კისელი, ჰერზანი, სლეპიჩკა |

### თუნი — არსენალი

ბერნი. „სტად დე სუისი". მსაჯი: ლუსილიუ კორტეს ბატისტა (პორტუგალია)

| თუნი | არსენალი |
| --- | --- |
| იაკუპოვიჩი, პოჯიჩი, ორმანი, მილიჩევიჩი, გონსალვეში, სავიჩი, ბერნარდინი, ადრიანო, აეგერტერი, ნ. ფერეირა, ლუსტრინელი | ალმუნია, ლორენი, კემპბელი, სენდეროსი, სიგანი, ლიუნგბერგი, ა. სონგი, ფლამინი, პირესი, რეიესი, ებუ |

# გერმანიის ჩემპიონთა ჩემპიონთა ლიგა

„იუვენტუსისა" და „ბრიუგეს" მატჩს ინტერესი დიახაც აქვს, რადგან მიუხედავად იმისა, რომ პირველის სახელი გაცილებით ხმამაღალია, ვიდრე მეორესი, წინა ტურში მოპოვებულმა გამარჯვებებმა ერთსაც და მეორესაც პლეი ოფის ეტაპზე, ჩვენებურად რომ ვთქვათ, მერვედფინალში გასვლის შანსი დაუტოვა. შეგახსენებთ: „ბებერმა ქალბატონმა" „ბაიერნს" აჯობა 2:1, ხოლო ბელგიელებმა ვენის „რაპიდს" ერთში კი არა, ზედიზედ ორ შეხვედრაში მოუგეს და იმიტომაც არიან ტურინელებისა და მიუნხენელების მხარდამხარ.

ახლა გავიხსენოთ მეტოქეთა პირველი შეხვედრა ბრიუგეში: იქ, იტალიის 28-გზის ჩემპიონებმა პაველ ნედვედისა და დავიდ ტრეზეგეს გოლებით 2:1 მოიგეს — ბელგიელთაგან ერთი საპასუხო ჟენვიონ იულუმატონდომ შეაგდო.

სტატისტიკოსები იტყობინებიან, რომ დღევანდელი მეტოქენი ადრე, 27 წლის წინ შეხვედრიან ერთმანეთს. ეს იყო ჩემპიონთა თასის 1977-78 წლების გათამაშების ნახევარფინალში, სადაც პირველი თამაში „იუვეს" დღევანდელი ტექნიკური დირექტორის, რობერტო ბეტეგას გოლის წყალობით „იუვენტუსმა" მოიგო, ხოლო საპასუხოში „ბრიუგემ" მესამე წუთზევე გაათანაბრა ორი მატჩის საერთო ანგარიში და საბოლოოდ ბრძოლა დამატებით დროში გადავიდა, სადაც ბელგიელთა გამარჯვების გოლი მათი ქვეყნის ნაკრების ნახევარმცველმა რენე ვანდერეიკენმა გაიტანა.

საერთოდ, „ბრიუგესთვის" ეს იქნება მეექვსე თამაში იტალიაში. წინა ხუთი მატჩი ბელგიელებს თანაბრად გაეყოთ: ორი მოგება, ორი წაგება და ერთი ფრე.

ამავე A ჯგუფის მეორე წყვილი გახლავთ „ბაიერნი" და „რაპიდი". „რაპიდს" იმედი აქვს გადაწურული. ხსენებული გუნდების პირველ შეხვედრაში, რომელიც ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე ჯგუფური ეტაპის პირველი ტურისა გახლდათ, ბავარიელებმა ხოსე პაულო გეროს ერთადერთი გოლით მოიგეს 1:0, დღეს კი ჯგუფიდან გასასვლელად კიდევ ერთ გამარჯვებას გეგმავენ. „რაპიდს" კი რა? ჩემპიონთა ლიგაში სულ მეთერთმეტე მატჩი უწევს და იქნებ... პირველ გამარჯვებას მიაღწიოს როგორმე, მაგრამ გჯერათ თქვენ ეს ამბავი?

საინტერესოა, რომ წლევანდელ დაპირისპირებამდე „ბაიერნი" და „რაპიდი" ერთხელ გადაეყარნენ ერთმანეთს. ეს იყო 1966-67 წლების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში, სადაც ისევე, როგორც ზემოხსენებულ წყვილში, ვენის გუნდმა შინ 1:0 მოიგო, სტუმრად, ძირითად დროში 0:1 წააგო და გადამწყვეტი გოლი დამატებით დროში გაუშვა. ის გოლი მაშინ „ბაიერნის"... თუმცა, რაღა „ბაიერნის", გერმანული ფეხბურთის... თუმცა, რაღა გერმანული ფეხბურთის, მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდამ, საგანგებო ნიჭით დაჯილდოვებულმა ფორვარდმა გერდ მიულერმა გაიტანა.

ბავარიელებს დღეს ნამდვილად არ ეყოლებათ მიხაელ ბალაკი და მეჰმეთ შოლი — ორივე ტრავმირებულია. რაც შეეხება ბრაზილიელ გარემარბ ზე რობერტოს, მისი თამაში საეჭვოა.

გინდათ, ერთი მეტად სახალისო ამბავიც გითხრათ? ორივე გუნდი თავის დროზე ყოფილა გერმანიის ჩემპიონი — „ბაიერნმა" ეს პირველად 1932 წელს შეძლო, „რაპიდმა" კი 1941-ში, როდესაც ავსტრიას ძნელი დროება ედგა.

**პაპუნა ძიდია**

| | | | | | |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| იუვენტუსი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:4 | 9 |
| ბაიერნი | 4 | 3 | 0 | 1 | 5:3 | 9 |
| ბრიუგე | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 6 |
| რაპიდი | 4 | 0 | 0 | 4 | 2:8 | 0 |





მეჰმეთ შოლი და მიხაელ ბალაკი „ბაიერნს" ტრავმების გამო დააკლდებიან



„აიაქსის" მწვრთნელ დანი ბლინდს გუნდი შეუთხელდა

# აიაქსის საიუბილეო და დაცვაარეული თუნი

„არსენალი" მერვედფინალშია. ჯგუფიდან გასვლის შანსი აქვთ „აიაქსსა" და „თუნს". ამსტერდამელები პრაღის „სპარტას" მასპინძლობენ და ფრეც ჰყოფნით მეორე ადგილის დასაბევებლად, იმ შემთხვევაში, თუ „არსენალი" ბერნში არ წააგებს. „აიაქსმა" რომ მოიგოს, მაშინ „თუნის" საქმე წასულია, შვეიცარიელები მერვედფინალს ველარ წაეპოტინებიან.

ამსტერდამული კლუბისთვის დღევანდელი მატჩი ჩემპიონთა თასზე 150-ე იქნება, ამათგან კი 75-ში დამარცხდნენ.

პრაღის „სპარტას" ჰოლანდიურ გუნდებთან დადებითი ბალანსი აქვს. ჩეხებმა ხუთიდან ოთხში იმარჯვეს და ერთი ფრედ დაასრულეს. აქვე ვთქვათ, რომ ჩემპიონთა ლიგაში პრაღელები უკვე მიჯრით 12 მატჩია, მოგებას ვერ ახერხებენ. თან აქედან რვაში გოლიც არ გაუტანიათ.

ზედიზედ სამი მარცხის შემდეგ ჩეხეთის ჩემპიონატში „სპარტამ" „ბოლესლავს" 4:2 სძლია. სპარტელთა მწვრთნელი სტანისლავ გრიგა ექსპერიმენტებს აგრძელებს და ფეხბურთელებს პოზიციებს უცვლის. მაგალითად, კარელ პობორსკის წასვლის მერე გაკაპიტნებული მარტინ პეტრაში მარჯვენა მცველად გაამწესა, ონდრეი ჰერზანი კი — გამთამაშებლად. სტანისლავ გრიგამ ნამატჩევს თქვა: „მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო, რომელიც უმძიმეს ბრძოლაში მოვიპოვეთ. ჩვენმა დაცვამ კარგად ვერ ითამაშა, სამაგიეროდ, მეკარემ რამდენჯერმე გვიხსნა".

„აიაქსმა" შინაჩემპიონატის გასულ ტურში „ტვენტეს" 2:0 სძლია და მიჯრით ოთხმატჩიანი უგოლობის შემდეგ ნავსი გატეხა. ორიდან ერთი ტვენტელმა საკუთარ კარში გაიტანა, მეორე კი შეცვლაზე შესულმა მარკუს როზენბერგმა.

ამსტერდამელებს ტრავმირებული ჰყავთ ოთხი ფეხბურთელი: ანგელოს ხარისტიასი, ჯონი ჰეიტინგა, რაიან ბაბელი და ჟულიენ ესკუდე. „აიაქსის" თავკაცმა დენი ბლინდმა განაცხადა: „იღბალი ჩვენს მხარეს იყო, თუმც მოგება დავიმსახურეთ. შეტევაში სიზუსტე გვაკლია და გოლის გატანაც ამიტომ გვიჭირს".

„თუნს", რომელიც „არსენალს" მასპინძლობს, შინ თუ ევროთასზე უკვე ხუთი მატჩია არ მოუგია. ურს შიონენბერგერის გუნდმა ჩემპიონატში „ქსამაქსთან" 2:3 წააგო, მას შემდეგ, რაც პირველ ტაიმში ორი გოლით დაწინაურდა.

თუნელთა დაცვა არეულია, რადგან ცენტრალური მცველი ანდრეას გერბერი დაშავდა და წლის ბოლომდე ველარ ითამაშებს. „სამი უპატიებელი შეცდომის გამო, სამი ქულა დავკარგეთ" — დაიჩივლა შიონენბერგერმა.

გავიხსენოთ, რომ „თუნმა" პირველ ტურში, ლონდონში, „არსენალთან" იბრძოლა და დენის ბერხკამპის ბოლო წუთზე გატანილი გოლით დამარცხდა. მაშინ შვეიცარიელები უკეთეს ფორმაში იყვნენ, მაგრამ მერე დაღმასვლა დაეწყოთ.

„მეთოფეებს" ჩემპიონთა ლიგის მიჯრით ოც მატჩში მოედანი უგოლოდ არ დაუტოვებიათ, ბოლო ცხრა გასვლითი შეხვედრიდან კი ერთი წააგეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| არსენალი | 4 | 4 | 0 | 0 | 9:2 | 12 |
| აიაქსი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:5 | 7 |
| თუნი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:8 | 3 |
| სპარტა | 4 | 0 | 1 | 3 | 1:7 | 1 |

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ჯგუფური ეტაპი. V ტური. დღეს

## C ჯგუფი

### ბარსელონა — ვერდერი

ბარსელონა. „კამპ ნოუ“. მსაჯი: კლაუს-ბო ლარსენი (დანია)

| ბარსელონა | ვერდერი |
|---|---|
| ვ. ვალდესი, ოლეგერი, პუიოლი, მარკესი, სილვინიო, ხავი, მოტა, დეკო, ჟიული, რონალდინიო, ეტოო | რაინკე, ოვომოიელა, ფარენჰორსტი, ნალდო, შულცი, ბაუმანი, ფრინგსი, ბოროვსკი, მიკუ, კლოზე, ნ. ვალდესი |

### პანათინაიკოსი — უდინეზე

ათენი. „სპიროს ლუისი“. მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)

| პანათინაიკოსი | უდინეზე |
|---|---|
| გალინოვიჩი, კოციოსი, მორისი, გუმასი, ვინტრა, ბიშკანი, ე. გონსალესი, სერიჩი, ვუტერი, გეკასი, პაპადოპულოსი | დე სანკტისი, ბერტოტო, სენსინი, ფელიპე, ობოდო, დ. ძენონი, პინცი, მაური, კანდელა, დი მიკელე, დი ნატალე |

## D ჯგუფი

### ლილი — ბენფიკა

პარიზი. „სტად დე ფრანსი“. მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

| ლილი | ბენფიკა |
|---|---|
| ტ. სილვა, ტავლარიდისი, პლესტანი, შმიცი, ტაფორო, გიგაქსი, მაკუნი, დებუში, კაბეი, ბოდმერი, მუსილუ | კიმი, ანდერსონი, ლუიზაო, ლეო, ალსიდესი, პეტიტი, კარიაკა, კარაგუნისი, ჟოვანი, სიმაო, ნუნუ გომეში |

### მანჩესტერი — ვილიარეალი

მანჩესტერი. „ოლდ ტრეფორდი“. მსაჯი: მასიმო დე სანტისი (იტალია)

| მანჩესტერი | ვილიარეალი |
|---|---|
| ვან დერ სარი, ბრაუნი, ფერდინანდი, სილვესტრი, ოში, ფლეტჩერი, სმიტი, სქოულზი, კ. რონალდო, ვან ნისტელროი, რუნი | ბარბოსა, კრომკამპი, გონსალო, პენია, არუაბარენა, ხოსიკო, სენა, სორინი, კალეხა, ფიგეროა, ხოსე მარი |

# ვერდერის გუნდობა კამპ ნოუზე გამოჩნდება

„ბარსელონას“ მერვედფინალში გასვლა უკვე განაღდებული აქვს და დღეს „კამპ ნოუზე“ ბრემენის „ვერდერს“ გვარიანად გადახალისებული დაუხვდება.

ბრემენელ „მუსიკოსთა“ მწვრთნელმა თომას შააფმა გუშინ ესპანურ მედიას უთხრა, ბედნიერია ის გუნდი, რომელსაც კატალონიელებთან მოედანზე ჭიდილი მოუწევსო. ჰერ თომასს ფეხბურთში ბევრი უნახავს, ასევე ბევრიც დაეჯერება და ძნელად სავარაუდოა, გერმანელი კატალონიელთა შეფასებაში ცდებოდეს.

მასპინძლებს ტრავმირებულები არ ჰყავთ. „რეალთან“ გამარჯვების მერე ბიჭები მეცხრე ცაზე არიან და ძნელია, ახლა ისევ მიწაზე დაბრუნება. ვიცი, რომ „ვერდერი“ მერვედფინალში გასასვლელად შეუპოვრად იბრძოლებს, თუმც არც ჩვენ გვსურს მადრიდული ფიესტის მერე გულშემატკივრები გავანაწყენოთ“ — თქვა ფრანკ რაიკარდმა, „ბარსელონას“ მწვრთნელმა.

ესპანეთში წასვლამდე „ვერდერი“ ბუნდესლიგაში „ვოლფსბურგს“ გადაეყარა და მაგრად დაიბრიყვა — ფრანკ ბაუმანის, ტიმ ბოროვსკის, მიროსლავ კლოზესა და ნალდოს გოლებით ბრემენელებმა 6:1 იმარჯვეს.

ხორვატმა ივან კლასნიჩმა ცოტა ხნის წინ ბრმა ნაწლავის ოპერაცია გადაიტანა, პეტრი პასანენს კი თავის ტრავმა აწუხებს. ამიტომაც, მათი „ბარსასთან“ თამაში საეჭვოა. ასევე არ იქნებიან თურქი დავალა უმითი და მეკარე ტი ვიზე. სამაგიეროდ, აუცილებლად იქნება მიროსლავ კლოზე, რომელსაც ამ გუნდების პირველ ჯახში მონაწილეობა დისკვალიფიკაციის გამო აკრძალული ჰქონდა.

„უნდა დავამტკიცოთ, რომ დიდი გუნდი ვართ. მათი საფეხბურთო დონე ჩვენსას აღემატება, მაგრამ მოედანზე რა მოხდება, წინასწარ ვერავინ განსაზღვრავს“ — განაცხადა კლოზემ მედიასთან საუბარში.

საბერძნეთში ალბერტო მალეზანის „პანათინაიკოსი“ იტალიურ „უდინეზეს“ უმასპინძლებს. გეხსომებათ, პირველ შეხვედრაში ვინჩენცო იაკინტამ აიწყვიტა და ბერძნებს ჰეთ თრიქი შეუსრულა. ის მატჩი ასეც დასრულდა — 3:0.

დღეს კი, მალეზანის შეგირდებს არა მარტო მოგება, კაი მეგოლეობაც უნდათ — მერვედფინალში გასასვლელად მეტოქის კარის მაქსიმალურად ამოვსებაა საჭირო. შინაურ ჩემპიონატში „პანათანაიკოსმა“ „კალამარიას“ 3:0 მოუგო. ახლა ეს გუნდი საბერძნეთის პირველობაზე მეორე ადგილზეა.

იტალიელებთან ომში ელინები გამოცდილები არიან. აქამდე, ჩემპიონთა ლიგაში „პანათანაიკოსი“ ოთხჯერ „იუვენტუსს“ და თითო-თითოჯერ „ტორინოს“ და „სამპდორიას“ შეხვედრია. „უდინეზე“ კი ევროთასებზე ბერძნულ კლუბებს ორჯერ დაეჯახა — ოთხი წლის წინ უეფას თასზე პაოკს, ხოლო შარშან ამავე ტურნირზე „პანიონიოსს“.

„უდინეზემ“ სერია A-ს ბოლო ტურში „მესინა“ 1:0 დაამარცხა, ხოლო „პანათინაიკოსთან“ იტალიელები სავარაუდოდ, ტრავმირებულ ვინჩენცო იაკინტას მოისაკლისებს. მას, ალბათ, პაულო ბარეტო შეცვლის.

**ლადო ხომერიკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 4 | 3 | 1 | 0 | 11:1 | 10 |
| ვერდერი | 4 | 1 | 1 | 2 | 6:8 | 4 |
| უდინეზე | 4 | 1 | 1 | 2 | 8:9 | 4 |
| პანათინაიკოსი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:9 | 4 |





მიროსლავ კლოზე ფრანკ რაიკარდის „ბარსელონას“ ემუქრება





გარი ნევილი ალექს ფერგიუსონმა თუ ათამაშა, ევროთასებზე მე-100 მატჩს ჩაატარებს

# მძიმე ბრძოლა ოლდ ტრეფორდზე

**ამ ჯგუფში** დღეს ბევრი რამ გაირკვევა — მთავარი მატჩი „ოლდ ტრეფორდზეა“, სადაც კრიზისში მყოფ „მანჩესტერ იუნაიტედს“ „ვილიარეალთან“ მძიმე ბრძოლის გადატანა მოუწევს. „წითელ ეშმაკებს“ აუცილებლად 3 ქულა სჭირდებათ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი დიდი შანსია, სერ ალექს ფერგიუსონის გუნდი ბოლო წლებში პირველად ვერ გასცდეს ჯგუფურ ეტაპს.

„ახლა მძიმე პერიოდი გვიდგას. მატჩი აუცილებლად უნდა მოვიგოთ, მერვედფინალში რომ გავიდეთ. ბოლო ხუთ წელიწადში ჯგუფურ ეტაპზე ასეთი მნიშვნელოვანი შეხვედრა არ გვქონია. გამარჯვების მიღწევა ადვილი არ იქნება, რადგან „ვილიარეალი“ ძალიან ძლიერი გუნდია“ - თქვა ფერგიუსონმა.

მასპინძლებს შეუძლიათ, თავი იმით დაიმშვიდონ, რომ ვერ ითამაშებს ესპანელთა ლიდერი ხუან რომან რიკელმე. ასევე დაშავებულნი არიან „ვილიარეალის“ კაპიტანი კიკე ალვარესი და თავდამსხმელი ანტონიო გიარე.

ეს „მანჩესტერის“ მე-16 საშინაო მატჩი იქნება ესპანური კლუბების წინააღმდეგ. აქამდე „წითელმა ეშმაკებმა“ შვიდჯერ მოიგეს, ექვსჯერ ფრედ ითამაშეს და ორჯერ დამარცხდნენ. პირველი პირინეული გუნდი, რომელმაც „ოლდ ტრეფორდზე“ იმარჯვა, მადრიდის „რეალია“ (2000 წელს), ხოლო მეორე ლა კორუნიის „დეპორტივო“ (2001).

რაც შეეხება „ვილიარეალს“, ამ კლუბს ევროთასებზე დებიუტი სულ ცოტა ხნის წინ ჰქონდა და ინგლისურ გუნდებთან უკვე ოთხჯერ თამაში მოასწრო. მანუელ პელეგრინის შეგირდებმა სამი მატჩი მოიგეს, ერთხელ კი („მანჩესტერთან“ პირველ შეხვედრაში) ფრედ ითამაშეს.

აღვნიშნოთ ისიც, რომ მანჩესტერელთა გამოცდილი ფეხბურთელი გარი ნევილი ევროთასებზე თავის მე-100 მატჩს ჩაატარებს. უშუალოდ ჩემპიონთა ლიგაში კი მას 91-ჯერ უთამაშია.

„დაცვაში ჩადგომას ნამდვილად არ ვაპირებთ, პირიქით, ვფიქრობ, ლალი მატჩი გველის. ქულები ორივე გუნდს სჭირდება, განსაკუთრებით „მანჩესტერს“, ამიტომ მძიმე ბრძოლის გადატანა მოგვიწევს“ — თქვა პელეგრინიმ.

ცხრილს თუ ჩავხედავთ, მიხვდებით, რომ არანაკლებ მნიშვნელოვანია მეორე მატჩი — ლისაბონის „ბენფიკა“ ფრანგულ „ლილს“ პარიზში, „სტად დე ფრანსზე“ შეხვდება და გამარჯვებას შეეცდება. ლისაბონელებს ფრეს შემთხვევაში მიზერული შანსი დარჩებათ და მთლიანად სხვებზე იქნებიან დამოკიდებულნი, თუმც სამი ქულისთვის იბრძოლებს „ლილიც“, რომელსაც შემდეგ ეტაპზე გასვლის ბრწყინვალე შანსი ეძლევა.

„ლილი“ პორტუგალიურ კლუბს „ბენფიკამდე“ ერთხელ შეხვედრია. გასულ სეზონში კლოდ პუელის შეგირდებმა ინტერტოტოს თასიდან „ლეირია“ გამოთიშეს. ლისაბონელები კი ფრანგულ კლუბს მეშვიდედ ეწვევიან: მათი წინა ექვსი სტუმრობა 4 მარცხითა და 2 გამარჯვებით დასრულდა.

**კოკი კანდელაკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვილიარეალი | 4 | 1 | 3 | 0 | 2:1 | 6 |
| ლილი | 4 | 1 | 2 | 1 | 1:1 | 5 |
| მანჩესტერი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:2 | 5 |
| ბენფიკა | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 4 |



როი კინი და პატრიკ ვიეირა შესაძლოა, თანაგუნდელები გახდნენ

# კინი ტურინს გასცქერის

**გავრცელდა** შოკის მომგვრელი ამბავი: „იუვენტუსი“ 7 მილიონ გირვანქას სთავაზობს როი კინს.

თუკი დათანხმდება, „მანჩესტერის“ დევნილი კაპიტანი ტურინში „არსენალის“ უგულოდ გაყიდულ კაპიტანს, პატრიკ ვიეირას შეუწყვილდება და სწორედ „დელე ალპიზე“ გაერთიანდება პრემიერლიგის ორი საუკეთესო საყრდენი ნახევარმცველის ძალა.

კინი და ვიეირა ხშირად ეჩხუბებოდნენ ერთმანეთს მინდორზე, კოჭებიც დაუმტვრევიათ ერთმანეთისთვის, მაგრამ, როგორც ლიდერები და მებრძოლები დიდ პატივს სცემდნენ ერთმანეთს. ეს ვიეირას ამასწინანდელ ავტობიოგრაფიულ წიგნშიც გამოჩნდა.

როის ძველი ნათქვამი კი, სიბერეში „სელტიკში“ ვითამაშებდიო, კვლავაც ძალაში რჩება. ოღონდაც, ჯერ არც მენეჯერ გორდონ სტრაჩანს დაუძრავს სიტყვა ამის შესახებ. „სელტიკის“ თავმჯდომარემ, ბრაიან ქუინმა კი თქვა, თუ მისტერ კინი ჩვენთან გადმოვა, ხელფასის შემცირება მოუწევს, რადგან მანჩესტერულ ნიშნულს ჩვენ ნამდვილად ვერ შევწვდებითო.

კინი „ოლდ ტრეფორდზე“ კვირაში 90 ათას გირვანქას იღებდა.

ამასობაში კი, „პორტსმუთი“, „უიგანი“ და „ბოლტონი“ თავიანთ რიგს ელიან. „მანჩესტერ სიტის“ მენეჯერმა სტიუარტ პირსმაც თქვა, არ გამოვრიცხავ, რბოლაში ჩავებთოო.

გაზეთები წერენ, რომ ყავად კინს „ევერტონსა“ და „ასტონ ვილასკენ“ მიუწევს გული. თუმცა, ტურინიც დიდი გამოწვევა ჩანს.

**ირაკლი გამყრელიძე**

# თურქული მუქარა

## ჰუგელს სიკვდილი გაუგზავნეს



ბენჟამინ ჰუგელი

**შვეიცარიის** ნაკრების ფეხბურთელ ბენჟამინ ჰუგელს თურქი გულშემატკივრები სიკვდილით ემუქრებიან. ფრანკფურტის „აინტრახტის“ ლეგიონერმა ეს ამბავი კლუბის პატრონს შეატყობინა, რომელმაც მოთამაშეს პირადი დაცვა მიუჩინა.

შეგახსენებთ, რომ თურქეთი — შვეიცარიის მატჩის შემდეგ ამტყდარ მუშტი-კრივში ჰუგელმა სელი გაიქნია: მან ჯერ ფათიჰ თერიმის თანაშემწე მეჰმეთ ოზდილეკს დაარტყა, გვირაბში კი ალფაი ოზალანთან იჩხუბა. ამიტომაც იღებს მუქარის წერილებს ოსმალოებისგან.

ფიფას პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა განაცხადა: „შესაძლოა, თურქეთი მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში არ დავუშვათ“.

თურქეთის ნაკრების ნახევარმცველმა ემრე ბელოზოღლუმ ბლატერის ნათქვამს უპასუხა: „ვიმედოვნებ, რომ მკაცრად არ დაგვსჯიან. ასეთ სასჯელს არ ვიმსახურებთ. ყველაფერი შვეიცარიაში დაიწყო, როცა იქაურებმა ჩვენს ჰიმნს უსტვინეს და გვაგინეს, შემდეგად კი სტამბოლში ჩხუბი მივილეთ“.

**გაგა ხუციშვილი**

# როის ორი მიზეზი

ასე და ამგვარად, ევროპულ ფეხბურთში მწვრთნელისა და მოთამაშის ერთ-ერთი უდიდესი წყვილი, ალექს ფერგიუსონი-როი კინი დაიშალა. კინი არათუ აღარ არის „მანჩესტერ იუნაიტედის“ კაპიტანი, სულ წავიდა გუნდიდან, ამის შემყურე ბრიტანული გაზეთები კი წერენ, რომ დასასრული ზეცაში შექმნილ წყვილებსაც ჰქონია. მაგრამ ყველაფერს მიზეზი უნდა ჰქონდეს, ხომ მართალია? რასაკვირველია ასეა და დღეს, როდესაც გაყრა დასრულებულია და ლაპარაკი უკვე შეიძლება, მიზეზად ორ მოვლენას ასახელებენ



ალექს ფერგიუსონმა და როი კინმა პორტუგალიურ ალგარვეშიც იჩხუბეს

**როგორც** მასმედიისთვის კინის მავანი ძმაკაცისგან გახდა ცნობილი, პირველად შავმა კატამ ირლანდიელ ნახევარმცველსა და შოტლანდიელ მწვრთნელს შორის მაშინ გაირბინა, როდესაც ფერგიუსონი დოლის ცხენთან, სახელად „გიბრალტარის კლდესთან“ დაკავშირებულ დავაში გაიხლართა, ხოლო ორ ადამიანს შორის გაუგებრობამ მწვერვალს გასულ ივლისს, პორტუგალიური შეკრების დღეებში, საცურაო აუზის გამო მიაღწია.

დავიწყოთ პორტუგალიით. მაინც და მაინც აფიშირებული არ ყოფილა, მაგრამ ცნობილი კი შეიქნა, რომ ივლისში ფერგიუსონის ასისტენტმა კარლუშ კეიროშმა ალგარვეში, პანსიონატ „ვალე დე ლობოში“ გუნდს ერთკვირიანი შეკრება მოუწყო, სადაც ფეხბურთელების გარდა, მათი მეუღლეები და ოჯახის სხვა წევრებიც მიიწვია. კინი იმთავითვე ასეთი შეკრების წინააღმდეგი იყო. ის ამბობდა, რომ საერთოდ, ფეხბურთელებს ოჯახებთან ყოფნისთვის უფრო ხანგრძლივი არდადეგები სჭირდებათ, მაგრამ თუ არდადეგების საშუალება არ არის და კლუბს მაინც და მაინც შეკრება უნდა მოეწყო, მაშინ ეს შეკრება პირწმინდად პროფესიული ხასიათისა უნდა ყოფილიყო, ყოველგვარი ცოლების გარეშე.

და, კინმაც ასეთი რამ მოიმოქმედა: თავისი ოჯახისთვის, შეკრების ადგილიდან 10 მილში კერძო ვილა იქირავა, სადაც ყოველდღე ნავარჯიშევს მისვლას და დარჩენას აპირებდა, მაგრამ ასეთ განცალკევებაზე ფერგიუსონმა კატეგორიული არა გამოუცხადა და აიძულა, ოჯახის წევრები მასაც იმ პანსიონატში ჰყოლოდა, სადაც დანარჩენი მანჩესტერელები ბინადრობდნენ.

კინის ძმაკაცი: „ვილა არაჩვეულებრივი იყო, აუზიც ჰქონდა გამთბარი წყლით. კინს უნდოდა ცოლშვილი ყოველდღე იქ დაეტოვებინა, თვითონ კი ვარჯიშზე წასულიყო და საღამოს მიბრუნებულიყო, მაგრამ გამოუცხადეს, რომ ასეთი რამ გუნდში ერთსულოვნებას დაარღვევდა და აიძულეს, ბინა სხვებთან ერთად დაედო, იქ, სადაც აუზში წყალი არ თბებოდა. როიმ ეს ველარ აიტანა და კარლუშ კეიროშს გამოუცხადა, რომ ყველაფერი უკვე მაიმუნობას ემსგავსებოდა“.

როი კინიც პირდაღებული თანაგუნდელების წინაშე კეიროშზე გაიქაჩა. ვითარება ისე დაიძაბა, რომ ფერგიუსონი იძულებული შეიქნა შუაში ჩამდგარიყო, ასისტენტის მხარე დაეჭირა და კინისთვის სასწრაფოდ მანჩესტერში დაბრუნება ებრძანებინა. მერე როგორც კინის ძმაკაცი ჰყვება, როისთვის იმ მომენტში ყველაფერი თეთრად და შავად იყოფოდა ანუ მწვრთნელი იქნებოდა თუ ფეხბურთელი, ვინც კეიროშის მხარს დაიჭერდა, მისი მოწინააღმდეგე იქნებოდა.

„ნათელი შეიქნა, რომ როის და ფერგის ურთიერთობები ძველებური აღარასოდეს იქნებოდა“ — დასძენს ძმაკაცი.

ასე და ამგვარად, კინი შინ დაბრუნდა, ხოლო დანარჩენი გუნდი შორეული აღმოსავლეთის ტურნეში გაემგზავრა — ეს გახლდათ პორტუგალიური შეკრების და აუზის ამბავი, ხოლო „გიბრალტარის კლდის“ ისტორია ასე იყო: ფერგიუსონს ცხენის მფლობელობასთან დაკავშირებით გაუგებრობა ჰქონდა საცხენოსნო საქმის პარტნიორებთან, ჯონ მანიესთან და ჯეი პი მაკმანუსთან.

კინის ძმაკაცი: „მართალია, ეს „მანჩესტერ იუნაიტედთან“ არაფერ შუაში იყო, მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც დიდი კვალი დააჩნია. სწორედ ცხენთან დაკავშირებული ისტორია იყო ის, რამაც კინი მიახვედრა, რომ ფერგის ფეხბურთი აღარ აინტერესებდა. არის რაღაც, რაც მნიშვნელოვანია და არის რაღაც, რაც გადამწყვეტია. როიმ დაინახა, რომ ფერგიმ კონცენტრაცია და საქმის მართვა შეასუსტა, დღეს კი ნერვები ეშლება, როცა ხედავს, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ პრობლემაზე საუბარს გაურბის“.

და რომ „მიდლსბროსთან“ წაგების შემდეგ გადაიღო ფილმი-ინტერვიუ **MUTV**-ზე, სადაც პიროვნებებს შეეხო, გააკრიტიკა და მისი „მანჩესტერის“ არხით გაშვება ფერგიუსონმა დაუყოვნებლივ აკრძალა. კლუბმა ირლანდიელი 100 000 გირვანქითაც დააჯარიმა, მიუხედავად იმისა, რომ ის აცხადებდა, რომ როგორც კაპიტანი, ვალდებული იყო სიმართლე ელაპარაკა.

ხოლო წერტილი ისტორიას „ვესტ ბრომვიჩთან“ შეხვედრის წინ დაესვა: კინს სათადარიგოთა გუნდში უნდოდა თამაში, ექიმმა კი ლონეზე ცუდად ყოფნა მოუმიზეზა და ნება არ დართო. აქ უკვე ყველაფერს საბოლოოდ მოეფინა ნათელი.

მწვრთნელისა და ფეხბურთელის პარასკევის შეხვედრა მეტად კონკრეტული გამოდგა — ისინი მიხვდნენ, რომ ველარაფერს შეცვლიდნენ.

**პაპუნა ქედია**

## ფეხბურთის რუკასთან



**ჰოლანდიური** „აიაქსის“ ბრაზილიელმა ვარსკვლავმა მაქსველმა დაადასტურა, რომ კლუბთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას აღარ აპირებს. მომავალ ზაფხულს ბრაზილიელი მცველი, სავარაუდოდ, რომელიმე გრანდში გადავა. ამჟამად მისდამი ყველაზე დიდ ინტერესს ტურინის „იუვენტუსი“ იჩენს.

**იტალიური** „ფიორენტინა“ აპირებს, „პალერმოსა“ და „ლივერპულს“ მცველი ნემანია ვიდიჩი ცხვირწინ ააცალოს. ფლორენციელთა სპორტული დირექტორი პანტალეო კორვინო, უკვე მოსკოვშია, „სპარტაკის“ უფროსობას ესაუბრა და თავად სერბისგან თანხმობა მიიღო. 24 წლის მცველი დაახლოებით 5 მილიონ გირვანქად ფასდება.

**ესპანური** „ატლეტიკოს“ ხელმძღვანელობამ ცნობილ როკ-ჯგუფ „როლინგ სტოუნზს“ საკუთარ მოედანზე კონცერტის გამართვის ნება არ დაანება. არადა, ამის სანაცვლოდ მადრიდელები 360 ათას ევროს მიიღებდნენ. „ვისენტე კალდერონისა“ და კლუბის უფროსებს მიზეზებზე არ უსაუბრიათ. კონცერტი მომავალი წლის 10 აგვისტოს იგეგმება. იმავე დღეს კი ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩები გაიმართება და ამბიციური მადრიდელებიც, ალბათ, ფიქრობენ, რომ ლიგაში მოსახვედრად თავადაც იბრძოლებენ.

**ფრანგული** „ლე მანი“ წამყვანი ფორვარდის გარეშე დარჩა: ჩივაი ლუსაუმ „მარსელთან“ მატჩში მუხლის ჯვარედინი მყესები დაიზიანა და სეზონის ბოლომდე ველარ ითამაშებს. არადა, პირველ დივიზიონში დაბრუნებული კლუბისთვის იგი მთავარი იმედი გახლდათ.

**ჰოლანდიურმა** „ტილბურგმა“ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან რობერტ მაასკანი დაითხოვა. გუნდი ერედივიზიონში ამჟამად ბოლოსწინა ადგილზეა და ახალ თავკაცს ელის, რომელიც, სავარაუდოდ, ჰოლანდიური ფეხბურთის ლეგენდა იოჰან ნეესკენსი იქნება. დროებით კი „ტილბურგს“ კლუბის ტექნიკური დირექტორი კეეს ზვამბორნი დამოძღვრავს.

**ინგლისურმა** „ჩელსიმ“ ახალგაზრდა სერბ ნახევარმცველ სლობოდან რაიკოვიჩში 3,5 მილიონი გირვანქა გადაიხადა. ბელგრადული ოფკ-ს 16 წლის ფეხბურთელი ლონდონელებს მომავალი სეზონიდან შეუერთდება. 18 წლამდე მოთამაშეებში ამხელა თანხა ჯერ არავის გადაუხდია.

**ესპანური** „სოსიედადის“ თურქი თავდამსხმელი ნიჰათი „ნიუკასლის“ ერთ-ერთი მთავარი სამიზნე ყოფილა. „კაჭკაჭებმა“ შეტევაში პრობლემები ვერც გუნდში მაიკლ ოუენის მისვლით გადაჭრეს, თუმც ნიჰათის სანაცვლოდ „ჯორდებს“ მოსკოვის ცსკა-ც ეცილება.

**ფრანგული** პსჟ-ს რუსი ნახევარმცველი სერგეი სემაკი სეზონის ბოლომდე „მარსელში“ ითამაშებს. მომავალ ზაფხულს კი „სტად ველოდრომის“ ბინადრებმა შესაძლოა, მისი კონტრაქტი ბოლომდე გამოისყიდონ. 29 წლის ფეხბურთელმა პარიზელთა რიგებში ფეხი ვერ მოიკიდა და წასვლაც თავად ითხოვა.

**ჰოლანდიური** „ალკმაარი“ თავისი 20 წლის მცველ რონ ვლაარის შენარჩუნებას ვერ ახერხებს. ახალგაზრდა ფეხბურთელს „აიაქსში“ სურს გადასვლა. მისით ამსტერდამელებიც დაინტერესდნენ და სანაცვლოდ შეიძლება, ჯონი ჰეიტინგაც დათმონ.

**გერმანული** „კაიზერსლაუტერნის“ მწვრთნელად შესაძლოა, ვოლფგანგ ვოლფი დანიშნონ. ვოლფი ორი კვირის წინ „ნიურნბერგიდან“ გაათავისუფლეს, მაგრამ ბუნდესლიგაში ვაკანსია გასულ უქმეებზე გაჩნდა — ლაუტერნელთა თავკაცი მიხაელ ჰენკე მოხსნეს. მის ხელში გუნდმა ცამეტიდან მხოლოდ ორი მატჩი მოიგო.

**შოტლანდიური** „რეინჯერსი“ ალექს მაკლიშის შემცვლელს ეძებს. „ჩაფართა“ წარმომადგენლები პოლ ლე გუენს შეხვდნენ, რომელიც „ლიონიდან“ წასვლის შემდეგ უმუშევარია. ლე გუენის აგენტმა ეს ფაქტი დაადასტურა, მაგრამ საუბრის დეტალები არ გაამხილა. მაკლიში ჯერჯერობით კვლავაც „რეინჯერსის“ თავკაცია, თუმც კლუბის პატრონი გუნდის უსუსური თამაშით უკმაყოფილოა.

**ინგლისური** „არსენალის“ ლეგიონერი ალექსანდრ გლები ბელარუსის წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. 303 ხმიდან „მეთოფემ“ 200 მიიღო. აღსანიშნავია, რომ გლები სამშობლოში უკვე მესამედ აღიარეს საუკეთესოდ. იგი „არსენალში“ „შტუტგარტიდან“ ზაფხულში, 15 მილიონი ევროს სანაცვლოდ გადავიდა. გამოკითხვაში მეორე ადგილი „კრილია სოვეტოვის“ დენის კოვბას ერგო, ხოლო მესამე — სამპდორიელ ვიტალი კუტუზოვს.

**დანიის** ნაკრების მწვრთნელ მორტენ ოლსენს კონტრაქტი 2010 წლამდე გაუხანგრძლივეს, მიუხედავად იმისა, რომ გუნდი მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ვერ გაიყვანა. ოლსენმა ნაკრები 2002-ის ივლისში ჩაიბარა. ძველი ხელშეკრულება კი მომავალი წლის 30 ივნისს იწურებოდა.

**ბრაზილიური** „სანტოსის“ მწვრთნელი ნელსონიო ბაპტისტა მოხსნეს, რადგან „სანტოსმა“, რომელიც ქვეყნის ჩემპიონია, მისი თავკაცობით ბოლო ექვსი მატჩიდან ხუთი წააგო.

**ინგლისური** „მიდლსბროს“ ფორვარდ ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკს კარიერის დასრულება პრემიერლიგაში სურს. „თუ ამ გუნდში დარჩენის შანსი მექნება, სიამოვნებით დავთანხმდები და ფეხბურთის თამაშსაც აქ დავასრულებ“ — თქვა ჰოლანდიელმა.



მადრიდის „რეალს“ კაპიტანი რაული სავარაუდოდ, იანვრამდე არ ეყოლება

# რაულის მარცხიანი მარცხენა

## ბუტრაგენიომ მწვრთნელს იავნანა უმღერა

**მადრიდის** „რეალის“ კაპიტანი რაული სულ მცირე რვა კვირა ვეღარ ითამაშებს. იგი „ბარსელონასთან“ მატჩის მეორე ტაიმში დაშავდა. ექიმმა დაასკვნა, რომ რაულს მარცხენა მუხლის ჯვარედინი მყესი გაუწყდა და ხრტილიც დაზიანებული აქვს. ოპერაცია თუ არ დასჭირდა, ორ თვემდე დასვენება მოუწევს, ხოლო ოპერაციის შემთხვევაში ოთხი თვე იუქმებს.

ამასობაში, ურაულოდ დარჩენილ ვანდერლეი ლუშემბურგოს მოხსნა არ ემუქრება. ამის შესახებ კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ემილიო ბუტრაგენიომ განაცხადა.

„ფეხბურთის სამყარო არაპროგნოზირებადია — თქვა ბუტრაგენიომ — როცა ლუშემბურგოს მომავალზე მეკითხებიან, ეს იგივეა, რომ ჩემს წასვლა-დარჩენაზე მკითხონ. მწვრთნელს შეუძლია, მშვიდად ეძინოს. კაცი ერთ მარცხს არ უნდა გადავაყოლოთ“.

„ბარსელონასთან“ წაგება კი ვიცე-პრეზიდენტმა ასე შეაფასა: „ბარსელონამ“ ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ითამაშა მათ შორის, რომელიც მინახავს, თუმც ისიც სათქმელია, რომ ჩვენ ფორმაში არ ვიყავით“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ბაიერნი ლიდერებს აკავებს

**მიუნხენის** „ბაიერნი“ ყველანაირად ცდილობს წამყვანი მოთამაშეების შენარჩუნებას. ამჟამად აქტუალურია მიხაელ ბალაკისა და ვილი სანიოლის შესაძლო ტრანსფერების საკითხი.

სანიოლს ცალი ფეხით უკვე ტურინის „იუვენტუსის“ ფეხბურთელად თვლიან, მაგრამ საქმე არც მთლად ასე ყოფილა, თანაც „ბაიერნმა“ მას ახალი კონტრაქტი შესთავაზა. მოგეხსენებათ, მოქმედ შეთანხმებას ვადა მომავალ ზაფხულს გასდის.

„ამჟამად ერთადერთი ოფიციალური და სერიოზული წინადადება ისევ „ბაიერნისგან“ მივიღეთ. კლუბის უფროსობას დეკემბრის დასაწყისში შევხვდებით და ბევრ რამეს ნათელი ამის მერე მოეფინება. ვილი უკვე ექვსი წელია, მიუნხენშია და გარემოს შეცვლაზე ფიქრობს, მაგრამ გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია. შემოთავაზება კი რამდენიმე გრანდისგან გვაქვს, მათ შორის მართლაც არის „იუვენტუსი“ — თქვა სანიოლის აგენტმა სტეფან კურბისმა.

როგორც იცით, ბალაკსაც მრავალი მსურველი ჰყავს, მაგრამ ბოლოს იგი ისევ „მანჩესტერ იუნაიტედს“ დაუკავშირეს. როი კინის „ოლდ ტრეფორდიდან“ მოულოდნელად წასვლამ უფრო გაამწვავა ჭორები, ბალაკი მალე „წითელი ეშმაკი“ გახდებაო, მაგრამ...

„ჩვენ ბალაკის გაშვებას არ ვაპირებთ. ერთი კი ნამდვილად ვიცი, იგი „მანჩესტერში“ არ გადავა“ — აღნიშნა „ბაიერნის“ გენერალურმა მენეჯერმა ული ჰიონესმა.

**ქოქი ქანდელაკი**



ვილი სანიოლი


# იყიდება

ამერიკიდან ახალი ჩამოყვანილი, 1999 წელს გამოშვებული **ISUZU RODEO 2.2** ბენზინის ძრავით, იდეალურ მდგომარეობაში, განბაჟებული. ფასი შეთანხმებით. ტელ: 8 99 55 80 27





ჯორჯ ბესტი

# 24 საათი საბრალო ჯორჯისთვის

ექიმები აცხადებენ, რომ მომდევნო 24 საათი გადამწყვეტი იქნება 59 წლის ჯორჯ ბესტის სიცოცხლისათვის.

ბესტი ლონდონის კრომველის ჰოსპიტალში წევს და სიცოცხლის აპარატზეა მიერთებული. ის კვლავაც უგონოდაა, თუმცა, უკეთესობა ჰქონდა და პარასკევამდე ექიმები კმაყოფილნი იყვნენ. ახლა კი ყველაფერს ფილტვების ინფექციაც დაერთო.

პროფესორმა როჯერ უილიამსმა თქვა, რომ ჯორჯისთვის გადამწყვეტია უახლოესი ერთი დღე, როცა რაიმე გარდამტეხი უნდა მოხდეს და ორგანიზმში ინფექცია დაამარცხონ. ჯორჯი ინტენსიური ყურადღების ქვეშ სწორედ პარასკევიდანაა, მანამდე მას უკეთესობა ეტყობოდა.

მის სანახავად იყვნენ მამა, ძმა, დები და ვაჟი, თუმცა, ავადმყოფი უგონოდაა.

პროფესორ უილიამსის აზრით, ასეთ ინფექციებს ორგანიზმი ერევა ხოლმე, ამიტომ სიცოცხლის აპარატის გამორთვაზე ფიქრი ამ შემთხვევაში სრულიად წარმოუდგენელია.

ბესტის აგენტი ფილ ჰიუზი კი ოჯახის სახელით სრულიად ბრიტანეთს უხდის მადლობას იმ უზომო თანაგრძნობისთვის, რომელსაც უბრალო ხალხი გამოხატავს ჯორჯის მიმართ.

მთელი შემოდგომაა ბესტი ავადაა: 1 ოქტომბერს ის გრიპისგან წარმოშობილი ინფექციით მოხვდა საავადმყოფოში და ამბობდნენ, ვერ გაატანსო. ნოემბერში ამას თირკმლის ინფექცია მოჰყვა. ახლა კი ამან ფილტვეც ჩაითრია.

სამი წელიწადია ბრიტანეთის უდიდესი ფეხბურთელი ხელოვნური ღვიძლით ცხოვრობს.

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი XII ტური

**რასინგი 0:3 დეპორტივო**

0:1 ტრისტანი (16), 0:2 ვალერონი (51), 0:3 ტაბორდა (71)

რასინგი: აუატე, ნერუ, პინილიოსი, აიოზე (ო. სერანო 64), მორატიონი, ვიტოლო (ხუანხო 58), ს. დალმა, მ. ფელიპე, ა. ტომასი, აგანსო (ვ. დალმა 58), ანტონიტო

მწვრთნელი: მანოლო პრესიადო

დეპორტივო: მოლინა, ჟორჟე ანდრადე, კაპდევილა, ხუანმა, ექტორი, დე გუცმანი (კოლოჩინი 80), სერხიო, სკალონი, ვალერონი, ტრისტანი (ტაბორდა 70), მუნიტისი (ვიქტორი 77)

მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი

გაფრთხილება: კაპდევილა, ფელიპე

მსაჯი: პერეს ლასა

12 754 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 12 | 7 | 4 | 1 | 30:11 | 25 |
| ოსასუნა | 12 | 8 | 1 | 3 | 16:11 | 25 |
| სელტა | 12 | 7 | 2 | 3 | 16:12 | 23 |
| რეალი | 12 | 7 | 0 | 5 | 22:14 | 21 |
| ვილიარეალი | 12 | 5 | 5 | 2 | 18:12 | 20 |
| დეპორტივო | 12 | 5 | 5 | 2 | 17:12 | 20 |
| სევილია | 12 | 5 | 5 | 2 | 11:6 | 20 |
| ვალენსია | 12 | 5 | 4 | 3 | 16:15 | 19 |
| ხეტაფე | 12 | 5 | 3 | 4 | 17:16 | 18 |
| სოსიედადი | 12 | 5 | 1 | 6 | 17:24 | 16 |
| მალაგა | 12 | 4 | 3 | 5 | 18:15 | 15 |
| ატლეტიკო | 12 | 4 | 3 | 5 | 12:12 | 15 |
| კადისი | 12 | 3 | 4 | 5 | 8:12 | 13 |
| ესპანიოლი | 12 | 3 | 3 | 6 | 9:14 | 12 |
| მალიორკა | 12 | 3 | 3 | 6 | 11:21 | 12 |
| სარაგოსა | 12 | 1 | 8 | 3 | 12:15 | 11 |
| ალავესი | 12 | 2 | 5 | 5 | 11:16 | 11 |
| რასინგი | 12 | 2 | 5 | 5 | 6:11 | 11 |
| ბეტისი | 12 | 2 | 4 | 6 | 8:19 | 10 |
| ბილბაო | 12 | 1 | 4 | 7 | 11:18 | 7 |

## იტალია

### სერია A. XII ტური

**ინტერი 2:0 პარმა**

1:0 ფიგუ (68), 2:0 კამბიასო (81)

ინტერი: ჟულიო სეზარი, ხ. ძანეტი, ი. კორდობა, მატერაცი, ფავალი, ფიგუ (კამბიასო 79), დ. პიზარო (დ. სტანკოვიჩი 59), კ. ძანეტი, ხ. ვერონი, ადრიანო, ხ. კრუზი (ო. მარტინსი 52)

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

პარმა: ბუჩი (ლუპატელი 84), ზ. კამარა, კარდონე, კონტინი, პასკუალე, გრელა, სიმპლისიო, მარკიონი, მორფეო, ჩიგარინი (სავი 33; დედიჩი 74), კორადი

მწვრთნელი: მარიო ბერეტა

გაფრთხილება: კ. ძანეტი, გრელა, მატერაცი, კორადი

მსაჯი: როკი

47 651 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 12 | 11 | 0 | 1 | 26:6 | 33 |
| მილანი | 12 | 9 | 1 | 2 | 27:12 | 28 |
| ფიორენტინა | 12 | 9 | 1 | 2 | 27:13 | 28 |
| ინტერი | 12 | 7 | 2 | 3 | 22:10 | 23 |
| სამპდორია | 12 | 6 | 2 | 4 | 23:17 | 20 |
| კიევო | 12 | 5 | 5 | 2 | 16:12 | 20 |
| რომა | 12 | 5 | 3 | 4 | 18:14 | 18 |
| ლივორნო | 12 | 5 | 3 | 4 | 11:15 | 18 |
| პალერმო | 12 | 4 | 5 | 3 | 19:18 | 17 |
| ემპოლი | 12 | 5 | 2 | 5 | 15:17 | 17 |
| უდინეზე | 12 | 5 | 2 | 5 | 13:16 | 17 |
| ლაციო | 12 | 4 | 4 | 4 | 13:15 | 16 |
| სიენა | 12 | 4 | 2 | 6 | 18:23 | 14 |
| ასკოლი | 12 | 2 | 6 | 4 | 12:15 | 12 |
| რეჯინა | 12 | 4 | 0 | 8 | 13:19 | 12 |
| პარმა | 12 | 3 | 3 | 6 | 12:19 | 12 |
| მესინა | 12 | 1 | 5 | 6 | 10:18 | 8 |
| ტრევიზო | 12 | 1 | 4 | 7 | 7:18 | 7 |
| ლეჩე | 12 | 2 | 1 | 9 | 8:21 | 7 |
| კალიარი | 12 | 0 | 5 | 7 | 8:20 | 5 |

## თურქეთი

### სუპერლიგა. XIII ტური

დიარბაქირი — ტრაბზონი 3:0; ფენერბაჰჩე — მანისა 2:1; გენჩლერი — ერჯიესი 3:0; სამსუნი — დენიზლი 1:2; ანკარა — სივასსპორი 1:1; ბეშიქთაში — გაზიანთეპი 0:1; ქაისერი — მალათია 2:0; კონია — ანკარაგიუჯიუ 2:0; რიზე — გალათასარაი 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე | 13 | 11 | 2 | 0 | 31:13 | 35 |
| გალათასარაი | 13 | 10 | 2 | 1 | 31:12 | 32 |
| ქაისერი | 13 | 8 | 1 | 4 | 23:15 | 25 |
| სივასსპორი | 13 | 6 | 4 | 3 | 15:11 | 22 |
| ერჯიესი | 13 | 5 | 6 | 2 | 14:11 | 21 |
| გაზიანთეპი | 13 | 5 | 5 | 3 | 18:17 | 20 |
| ბეშიქთაში | 13 | 5 | 4 | 4 | 16:13 | 19 |
| გენჩლერი | 13 | 4 | 6 | 3 | 14:10 | 18 |
| კონია | 13 | 4 | 5 | 4 | 17:13 | 17 |
| ტრაბზონი | 13 | 4 | 4 | 5 | 13:18 | 16 |
| ანკარაგიუჯიუ | 13 | 4 | 3 | 6 | 17:19 | 15 |
| ანკარა | 13 | 2 | 7 | 4 | 17:18 | 13 |
| მანისა | 13 | 3 | 4 | 6 | 17:19 | 13 |
| რიზე | 13 | 3 | 4 | 6 | 9:15 | 13 |
| დიარბაქირი | 13 | 3 | 2 | 8 | 13:26 | 11 |
| დენიზლი | 13 | 2 | 4 | 7 | 8:16 | 10 |
| სამსუნი | 13 | 2 | 3 | 8 | 24:34 | 9 |
| მალათია | 13 | 1 | 4 | 8 | 9:26 | 7 |

## ჩეხეთი

### გამბრინუსლიგა. XIII ტური

ლიბერეცი — სლავია 3:3; სპარტა — ბოლესლავი 4:2; სლოვაცკო — სიგმა 2:2; ბანიკი — იაბლონეცი 2:1; მოსტი — პრჟიბრამი 1:0; ბრნო — პლზენი 3:1; იჰლავა — ზლინი 0:0; ბლშანი — ტეპლიცე 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიბერეცი | 13 | 8 | 4 | 1 | 23:10 | 28 |
| ტეპლიცე | 13 | 7 | 4 | 2 | 18:10 | 25 |
| სიგმა | 13 | 7 | 2 | 4 | 21:20 | 23 |
| სლავია | 13 | 6 | 4 | 3 | 25:17 | 22 |
| პრჟიბრამი | 13 | 5 | 4 | 4 | 19:15 | 19 |
| ბანიკი | 13 | 5 | 4 | 4 | 14:13 | 19 |
| იაბლონეცი | 13 | 5 | 3 | 5 | 19:18 | 18 |
| ბოლესლავი | 13 | 5 | 3 | 5 | 21:22 | 18 |
| ზლინი | 13 | 4 | 4 | 5 | 12:13 | 16 |
| პლზენი | 13 | 4 | 4 | 5 | 15:17 | 16 |
| სპარტა | 13 | 5 | 1 | 7 | 20:23 | 16 |
| მოსტი | 13 | 4 | 2 | 7 | 13:15 | 14 |
| იჰლავა | 13 | 3 | 5 | 5 | 10:17 | 14 |
| სლოვაცკო | 13 | 2 | 6 | 5 | 13:17 | 12 |
| ბრნო | 13 | 2 | 5 | 6 | 15:19 | 11 |
| ბლშანი | 13 | 2 | 5 | 6 | 13:25 | 11 |

## საფრანგეთი

### I დივიზიონი. XV ტური

**ბორდო 0:2 პსჟ**

0:1 იეპესი (35), 0:2 პაულეტა (51)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 15 | 12 | 3 | 0 | 26:9 | 39 |
| პსჟ | 15 | 8 | 3 | 4 | 17:11 | 27 |
| ბორდო | 15 | 7 | 6 | 2 | 15:9 | 27 |
| ოსერი | 15 | 8 | 2 | 5 | 20:19 | 26 |
| სენტ ეტიენი | 15 | 6 | 6 | 3 | 15:9 | 24 |
| მონაკო | 15 | 7 | 3 | 5 | 15:11 | 24 |
| ლილი | 15 | 6 | 5 | 4 | 22:13 | 23 |
| რენი | 15 | 7 | 2 | 6 | 20:26 | 23 |
| ლანსი | 15 | 4 | 10 | 1 | 19:10 | 22 |
| ლე მანი | 15 | 6 | 4 | 5 | 16:10 | 22 |
| მარსელი | 15 | 6 | 3 | 6 | 16:19 | 21 |
| ნანსი | 15 | 6 | 2 | 7 | 17:12 | 20 |
| ნანტი | 15 | 5 | 3 | 7 | 14:13 | 18 |
| ნიცა | 15 | 4 | 6 | 5 | 11:14 | 18 |
| სოშო | 15 | 4 | 4 | 7 | 9:15 | 16 |
| ტულუზი | 15 | 4 | 3 | 8 | 11:20 | 15 |
| ტრუა | 15 | 3 | 5 | 7 | 13:20 | 14 |
| აიაჩო | 15 | 2 | 6 | 7 | 9:17 | 12 |
| მეცი | 15 | 1 | 5 | 9 | 7:24 | 8 |
| სტრასბური | 15 | 0 | 7 | 8 | 5:16 | 7 |

## პოლონეთი

### I ლიგა. XIV ტური

ლეგია — გურნიკი 3:2; ოდრა — ლეხი 2:1; ბელხატოვი — კორონა 1:2; არკა — ვისლა 1:0; კრაკოვია — პლოცკი 3:1; პოგონი — პოლონია 2:0; ლეჩნა — ამიკა 1:0; გროცლინი — ზაგლემბე 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლეგია | 14 | 8 | 4 | 2 | 19:9 | 28 |
| ვისლა | 13 | 7 | 4 | 2 | 23:12 | 25 |
| კრაკოვია | 13 | 7 | 3 | 3 | 17:14 | 24 |
| ლეხი | 14 | 6 | 4 | 4 | 23:23 | 22 |
| კორონა | 14 | 5 | 5 | 4 | 22:19 | 20 |
| პოგონი | 14 | 5 | 5 | 4 | 19:16 | 20 |
| ამიკა | 14 | 5 | 4 | 5 | 20:16 | 19 |
| ზაგლემბე | 14 | 5 | 4 | 5 | 23:21 | 19 |
| გროცლინი | 14 | 5 | 4 | 5 | 21:20 | 19 |
| ოდრა | 13 | 5 | 4 | 4 | 12:12 | 19 |
| არკა | 14 | 3 | 7 | 4 | 13:13 | 16 |
| პლოცკი | 14 | 5 | 1 | 8 | 16:27 | 16 |
| ლეჩნა | 14 | 2 | 8 | 4 | 11:13 | 14 |
| ბელხატოვი | 14 | 3 | 5 | 6 | 14:19 | 14 |
| გურნიკი | 14 | 3 | 4 | 7 | 16:22 | 13 |
| პოლონია | 13 | 2 | 2 | 9 | 8:21 | 8 |

## დანია

### სუპერლიგა. XVIII ტური

ბრონდბიუ — ვიბორგი 1:0; კოპენჰაგენი — ორჰუსი 1:1; ჰორსენსი — მიდტიულანდი 3:4; ნორდსიელანდი — ოლბორგი 0:1; სილკებორგი — ესბიერგი 2:1; სიონდერისკე — ოდენსე 2:4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოპენჰაგენი | 18 | 13 | 4 | 1 | 35:12 | 43 |
| ბრონდბიუ | 18 | 12 | 3 | 3 | 37:17 | 39 |
| ვიბორგი | 18 | 10 | 4 | 4 | 33:20 | 34 |
| ოდენსე | 18 | 8 | 5 | 5 | 28:20 | 29 |
| ნორდსიელანდი | 18 | 6 | 7 | 5 | 28:21 | 25 |
| ოლბორგი | 18 | 6 | 6 | 6 | 24:22 | 24 |
| სილკებორგი | 18 | 5 | 5 | 8 | 16:26 | 20 |
| მიდტიულანდი | 18 | 5 | 5 | 8 | 24:35 | 20 |
| ესბიერგი | 18 | 5 | 4 | 9 | 22:28 | 19 |
| ჰორსენსი | 18 | 2 | 9 | 7 | 11:24 | 15 |
| ორჰუსი | 18 | 2 | 7 | 9 | 24:39 | 13 |
| სიონდერისკე | 18 | 3 | 3 | 12 | 23:41 | 12 |

## ჩილე

### აპერტურა. XIX ტური

უნივერსიდად კატოლიკა — ლა სერენა 3:0; კობრელოა — უაჩიპატო 2:1; დეპორტეს კონსეპსიონი — ტემუკო 3:1; პუერტო მონტი — ევერტონი 0:1; უონდერერსი — სან ფელიპე 3:1; კობრესალი — რეინჯერსი 2:0; მელიპილია — კოლო კოლო 2:3; პალესტინო — უნივერსიდად კონსეპსიონი 1:2; იტალიანო — ესპანიოლა 4:5; უნივერსიდად დე ჩილე — კოკიმბო 3:0

## საბერძნეთი

### ეროვნული ლიგა. X ტური

ქსანთი — იონიკოსი 1:1; პანათინაიკოსი — კალამარია 3:0; ატრომიტოსი — ოლიმპიაკოსი 0:1; პანიონიოსი — ოფი 1:1; კალითეა — პაოკ 1:1; ირაკლისი — ლარისა 2:1; ეგალეო — ლევადიაკოსი 1:0. აკრატიტოსი — აეკ წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 10 | 8 | 0 | 2 | 21:5 | 24 |
| აეკ | 9 | 6 | 2 | 1 | 13:4 | 20 |
| პანათინაიკოსი | 10 | 6 | 2 | 2 | 15:8 | 20 |
| ქსანთი | 10 | 6 | 2 | 2 | 14:8 | 20 |
| პაოკ | 10 | 4 | 4 | 2 | 16:9 | 16 |
| ეგალეო | 10 | 3 | 6 | 1 | 8:7 | 15 |
| ირაკლისი | 10 | 4 | 2 | 4 | 10:12 | 14 |
| ლარისა | 10 | 3 | 3 | 4 | 14:12 | 12 |
| ატრომიტოსი | 10 | 3 | 3 | 4 | 10:9 | 12 |
| იონიკოსი | 10 | 2 | 6 | 2 | 12:15 | 12 |
| ლევადიაკოსი | 10 | 2 | 4 | 4 | 7:10 | 10 |
| ოფი | 10 | 2 | 4 | 4 | 8:14 | 10 |
| პანიონიოსი | 10 | 2 | 3 | 5 | 9:19 | 9 |
| კალამარია | 10 | 2 | 2 | 6 | 7:17 | 8 |
| აკრატიტოსი | 9 | 1 | 3 | 5 | 4:9 | 6 |
| კალითეა | 10 | 1 | 2 | 7 | 7:17 | 5 |

## ავსტრია

### მაქსბუნდესლიგა. XIX ტური

გრაცერი — ზალცბურგი 3:1; ადმირა — აუსტრია 0:1; მატერსბურგი — პაშინგი 1:2; რაპიდი — შტურმი 3:1; რიდი — ტიროლი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზალცბურგი | 19 | 11 | 1 | 7 | 27:21 | 34 |
| აუსტრია | 19 | 10 | 4 | 5 | 23:17 | 34 |
| გრაცერი | 19 | 9 | 4 | 6 | 29:21 | 31 |
| რაპიდი | 19 | 8 | 6 | 5 | 33:23 | 30 |
| პაშინგი | 19 | 8 | 6 | 5 | 23:15 | 30 |
| რიდი | 19 | 6 | 9 | 4 | 30:24 | 27 |
| შტურმი | 19 | 6 | 6 | 7 | 23:27 | 24 |
| მატერსბურგი | 19 | 6 | 4 | 9 | 23:30 | 22 |
| ტიროლი | 19 | 4 | 8 | 7 | 19:28 | 20 |
| ადმირა | 19 | 2 | 2 | 15 | 21:45 | 8 |

### I დივიზიონი. XIX ტური

ალტახი — კუფშტაინი 1:0; აუსტრია (მ) — გრატკორნი 2:2; ლინცერი — კაპფენბერგი 5:1; ლეობენი — აუსტრია (ლ) 1:0; შვაინშტადტი — კერნტენი 1:2

## შვეიცარია

### სუპერლიგა. XV ტური

თუნი — ქსამაქსი 2:3; აარაუ — ბაზელი 0:2; შაფჰაუზენი — ივერდონი 1:2; სენტ გალენი — გრასჰოპერი 1:1; ციურიხი — იანგ ბოისი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 15 | 11 | 3 | 1 | 38:18 | 36 |
| გრასჰოპერი | 15 | 8 | 4 | 3 | 26:16 | 28 |
| ციურიხი | 15 | 8 | 3 | 4 | 39:23 | 27 |
| იანგ ბოისი | 15 | 6 | 6 | 3 | 23:17 | 24 |
| თუნი | 15 | 6 | 2 | 7 | 26:29 | 20 |
| სენტ გალენი | 15 | 5 | 4 | 6 | 22:25 | 19 |
| ივერდონი | 15 | 5 | 2 | 8 | 22:26 | 17 |
| აარაუ | 15 | 4 | 3 | 8 | 13:27 | 15 |
| ქსამაქსი | 15 | 4 | 1 | 10 | 20:32 | 13 |
| შაფჰაუზენი | 15 | 2 | 4 | 9 | 10:26 | 10 |

### ჩელენჯლიგა. XV ტური

კონკორდია — ვადუცი 2:2; მეირინი — ლუცერნი 2:3; ვოლენი — ლოკარნო 5:0; ბოლმი — იუვენტუსი 1:1; ბელინცონა — ლოზანა 2:2; კრიენსი — კიასო 0:2; შო დე ფონი — სიონი 1:0; ვილი — ბადენი 2:0; ვინტერთური — ლუგანო 4:0

## პორტუგალია

### სუპერლიგა. XI ტური

**ბოავიშტა 2:0 ლეირია**

1:0 ჟოაუ პინტუ (51), 0:2 უილიამი (72)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაგა | 11 | 8 | 2 | 1 | 13:4 | 26 |
| პორტუ | 11 | 7 | 3 | 1 | 18:7 | 24 |
| ნასიონალი | 11 | 7 | 3 | 1 | 14:4 | 24 |
| სეტუბალი | 11 | 6 | 2 | 3 | 9:3 | 20 |
| სპორტინგი | 11 | 6 | 2 | 3 | 15:14 | 20 |
| ბენფიკა | 11 | 5 | 3 | 3 | 19:12 | 18 |
| ბოავიშტა | 11 | 4 | 6 | 1 | 17:10 | 18 |
| რიუ ავე | 11 | 4 | 3 | 4 | 15:16 | 15 |
| ფერეირა | 11 | 4 | 2 | 5 | 11:14 | 14 |
| მარიტიმუ | 10 | 2 | 5 | 3 | 12:13 | 11 |
| ლეირია | 11 | 3 | 2 | 6 | 11:15 | 11 |
| ნავალი | 11 | 3 | 2 | 6 | 12:17 | 11 |
| აკადემიკა | 11 | 3 | 2 | 6 | 10:16 | 11 |
| ჟილ ვისენტე | 11 | 3 | 2 | 6 | 9:15 | 11 |
| ბელენენსეში | 10 | 3 | 1 | 6 | 13:15 | 10 |
| ამადორა | 11 | 2 | 4 | 5 | 8:12 | 10 |
| გიმარაეში | 11 | 3 | 1 | 7 | 7:15 | 10 |
| პენაფიელი | 11 | 1 | 3 | 7 | 8:19 | 6 |

## ნორვეგია

### პლეი ოფი

### საპასუხო მატჩი

*მიოლდე* 2:0 *მოსი (3:2)*

## უკრაინა

### უმაღლესი ლიგა XVI ტური

ტავრია — დნიპრო 0:1; შახტარი — ვოლინი 2:0; კრივბასი — ხარკოვი 3:1; მეტალურგი (ზ) — დინამო 1:2; არსენალი — ჩერნომორეცი 0:1; სტალი — მეტალურგი (დ) 1:1; ზაკარპატია — ვორსკლა 1:1; მეტალისტი — ილიჩევეცი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 16 | 13 | 3 | 0 | 37:8 | 42 |
| შახტარი | 16 | 13 | 2 | 1 | 35:6 | 41 |
| ჩერნომორეცი | 16 | 8 | 3 | 5 | 21:13 | 27 |
| ილიჩევეცი | 16 | 7 | 5 | 4 | 17:17 | 26 |
| ვოლინი | 16 | 8 | 2 | 6 | 24:28 | 26 |
| მეტალურგი (დ) | 16 | 6 | 7 | 3 | 22:12 | 25 |
| მეტალისტი | 16 | 7 | 3 | 6 | 22:24 | 24 |
| ხარკოვი | 16 | 6 | 3 | 7 | 23:22 | 21 |
| დნიპრო | 16 | 5 | 4 | 7 | 14:17 | 19 |
| სტალი | 16 | 4 | 6 | 6 | 12:22 | 18 |
| კრივბასი | 16 | 4 | 5 | 7 | 13:16 | 17 |
| ვორსკლა | 16 | 4 | 5 | 7 | 15:22 | 17 |
| არსენალი | 16 | 3 | 5 | 8 | 12:22 | 14 |
| ტავრია | 16 | 4 | 2 | 10 | 12:22 | 14 |
| მეტალურგი (ზ) | 16 | 3 | 4 | 9 | 16:27 | 13 |
| ზაკარპატია | 16 | 1 | 5 | 10 | 8:25 | 8 |

## ხორვატია

### ნაციონალ ლიგა XVI ტური

ოსიეკი — კამენი 1:0; ზაგრები — მედიმურიე 1:0; ჰაიდუკი — პულა 1:1; სლავენი — ციბალია 1:2; ინტერი — რიეკა 0:2; ვარტექსი — დინამო 2:5

## სლოვენია

### სი მობილ ლიგა. XVII ტური

ბელა კრაინა — კოპერი 1:3; დომჟალე — მარიბორი 2:1; დრავა პტუი — ნაფტა 3:2; ნოვა გორიცა — რუდარი 0:0; პუბლიკუმი — პრიმორიე 2:0

## სლოვაკეთი

### I ლიგა. XVIII ტური

ბანსკა ბისტრიცა — ტრენჩინი 0:1; პუხოვი — დუბნიცა 1:3; არტმედია — ტრნავა 2:1; რუჟომბეროკი — ინტერი 3:1; ჟილინა — ნიტრა 2:1

## არგენტინა

### აპერტურა. XVI ტური

ხიმნასია (ხ) — ინდეპენდიენტე 1:1; ინსტიტუტო — ბანფილდი 0:0; არგ. ხუნიორსი — რივერ პლეიტი 1:0; ბოკა ხუნიორსი — ველესი 2:0; ხიმნასია (ლ) — ტირო ფედერალი 1:1; ლანუსი — კოლონი 3:1; ოლიმპო — ესტუდიანტესი 3:0; რასინგი — კილმესი 4:1; როსარიო — არსენალი 1:1. სან ლორენსო — ნიუელ ბოისი წუხელ გვიან დამთავრდა

## ბრაზილია

### სერია A. XL ტური

სან პაულუ — ფიგეირენსე 4:2; ჟუვენტუდე — გოიასი 2:1; ბრაზილიენსე — სანტოსი 1:0; პარანა — ფლამენგო 0:1; პონტე პრეტა — პალმეირასი 2:6; ფორტალეზა — ფლუმინენსე 5:1; ვასკუ და გამა — პაისანდუ 4:0; ატლ. პარანენსე — სან კაეტანო 2:2; ბოტაფოგო — კრუზეირო 2:1; ატლ. მინეირო — კურიტიბა 1:0; კორინთიანსი — ინტერნასიონალი 1:1

## მექსიკა

### აპერტურა. XVI ტური

კრუზ ასული — მონტერეი 1:2; გვადალახარა — ტეკოსი 1:0; დორადოსი — ხაგუარესი 2:1; ტიგრესი — უნამი 3:1; ვერაკრუსი — პაჩუკა 1:3; ნეკაქსა — ატლასი 3:5; სან ლუისი — მორელია 2:1; ამერიკა — ატლანტე 4:3; სანტოსი — ტოლუკა 4:1

## ურუგვაი

### აპერტურა. XIII ტური

როჩა — უონდერერსი 3:1; რამპლა — რენტისტასი 2:0; სერიტო — კოლონია 1:1; რივერ პლეიტი — დანუბიო 0:3; ფენიქსი — მირამარი 2:0; პლაზა — პენიაროლი 3:0; სერო — ტაკუარემბო 1:0; დეფენსორი — პაისანდუ 2:0; ნასიონალი — ლივერპული 0:0

## იაპონია

### ჯეი ლიგა. XXXI ტური

ოიტა — კაშიმა 1:1; კობე — ომია 0:1; სეჯუზო — კავასაკი 2:0; ნაგოია — გამბა 2:1; იჩიჰარა — ნიიგატა 2:3; იოკოჰამა — ჰიროშიმა 3:1; ტოკიო — ოიტა 2:1; კაშივა — შიმიცუ 1:2; ურავა — ვერდი 4:1

# სარბიელი და კროკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **22 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 16 | ლესტერი-უოტფორდი | 2.40 | 3.10 | 2.65 | 1.35 | 1.25 | 1.42 |
| 23:45 | 17 | მილუოლი-ნორვიჩი | 2.70 | 3.20 | 2.35 | 1.46 | 1.25 | 1.35 |
| 23:45 | 18 | ვულვერჰემპტონი-შეფილდი | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 23:45 | 19 | ჰალი-საუთჰემპტონი | 2.70 | 3.20 | 2.35 | 1.46 | 1.25 | 1.35 |
| 23:45 | 20 | იფსვიჩი-რედინგი | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| 23:45 | 21 | უენსდი-პლიმუთი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 23:45 | 22 | ქპრ-პრესტონი | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| 23:45 | 23 | კარდიფი-ბრაიტონი | 1.70 | 3.30 | 4.70 | 1.12 | 1.24 | 1.93 |
| 23:45 | 24 | ლიდსი-ბარნლი | 1.85 | 3.20 | 4.00 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| 23:45 | 25 | კრისტალ პალასი-ქოვენთრი | 1.60 | 3.40 | 5.30 | 1.08 | 1.22 | 2.07 |
| 23:45 | 26 | სტოკი-დერბი | 1.90 | 3.20 | 3.80 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| 23:45 | 27 | ლუტონი-ქრიუ | 1.75 | 3.20 | 4.40 | 1.13 | 1.25 | 1.85 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **22 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 88 | ეარი-რეითი | 2.55 | 3.40 | 2.30 | 1.45 | 1.20 | 1.37 |
| | | **იტალია. სერია C1/A** | | | | | | |
| | | **22 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:30 | 190 | ჯენოა-სპეცია | 1.70 | 2.70 | 5.80 | 1.04 | 1.31 | 1.84 |
| | | **პოლონეთი** | | | | | | |
| | | **22 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:30 | 354 | ვისლა-კრაკოვია | 1.55 | 3.50 | 4.90 | 1.07 | 1.17 | 2.04 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა** | | | | | | |
| | | **22 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 462 | ბარსელონა-ვერდერი | 1.45 | 3.70 | 7.30 | 1.04 | 1.20 | 2.45 |
| 23:45 | 463 | მანჩესტერი-ვილიარეალი | 1.60 | 3.40 | 5.80 | 1.08 | 1.25 | 2.14 |
| 23:45 | 464 | პანათინაიკოსი-უდინეზე | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 23:45 | 465 | ბაიერნი-რაპიდი | 1.15 | 6.30 | 15.00 | 1.00 | 1.06 | 4.43 |
| 23:45 | 466 | აიაქსი-სპარტა | 1.45 | 3.80 | 7.00 | 1.04 | 1.20 | 2.46 |
| 23:45 | 467 | იუვენტუსი-ბრიუგე | 1.20 | 5.50 | 13.00 | 1.00 | 1.09 | 3.86 |
| 23:45 | 468 | თუნი-არსენალი | 3.90 | 3.20 | 1.90 | 1.75 | 1.27 | 1.19 |
| 23:45 | 469 | ლილი-ბენფიკა | 2.05 | 3.20 | 3.40 | 1.24 | 1.27 | 1.64 |
| | | **23 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 470 | ლივერპული-ბეტისი | 1.80 | 3.20 | 4.40 | 1.15 | 1.27 | 1.85 |
| 23:45 | 471 | ფენერბაჰჩე-მილანი | 3.90 | 3.20 | 1.90 | 1.75 | 1.27 | 1.19 |
| 23:45 | 472 | რეალი-ლიონი | 1.80 | 3.30 | 4.30 | 1.16 | 1.26 | 1.86 |
| 23:45 | 473 | როზენბორგი-ოლიმპიაკოსი | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 23:45 | 474 | შალკე-პსვ | 1.95 | 3.20 | 3.80 | 1.21 | 1.28 | 1.73 |
| 23:45 | 475 | პორტუ-რეინჯერსი | 1.55 | 3.50 | 6.00 | 1.07 | 1.23 | 2.21 |
| 23:45 | 476 | ანდერლეხტი-ჩელსი | 8.50 | 4.30 | 1.35 | 2.85 | 1.16 | 1.02 |
| 23:45 | 477 | ინტერი-პეტრჟალკა | 1.20 | 5.50 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.77 |
| | | **უეფას თასი** | | | | | | |
| | | **23 ნოემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 478 | ლოკომოტივი(მ)-ბრიონდბიუ | 1.60 | 3.40 | 5.50 | 1.08 | 1.23 | 2.10 |
| | | **24 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:30 | 479 | ცსკა(მ)-ლევსკი | 1.40 | 4.00 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.47 |
| 20:00 | 480 | პაოკ-შტუტგარტი | 2.90 | 3.20 | 2.15 | 1.52 | 1.23 | 1.28 |
| 21:00 | 481 | ვიკინგი-სლავია | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 21:30 | 482 | შახტარი-რაპიდი(ბ) | 1.55 | 3.60 | 5.00 | 1.08 | 1.18 | 2.09 |
| 21:30 | 483 | ალკმაარი-მიდლსბრო | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 21:30 | 484 | ზენიტი-სევილია | 2.30 | 3.00 | 2.90 | 1.30 | 1.28 | 1.47 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 485 | დნიპრო-ლიტექსი | 1.85 | 3.40 | 3.50 | 1.19 | 1.21 | 1.72 |
| 22:00 | 486 | ჰალმსტადი-სამპდორია | 3.80 | 3.40 | 1.80 | 1.79 | 1.22 | 1.17 |
| 22:00 | 487 | ჰერტა-ლანსი | 1.70 | 3.40 | 4.20 | 1.13 | 1.21 | 1.87 |
| 23:00 | 488 | ტრომსიო-ცრვენა ზვეზდა | 2.60 | 3.20 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |
| 23:45 | 489 | მარსელი-ჰერენვენი | 1.45 | 3.90 | 6.00 | 1.05 | 1.16 | 2.36 |
| 23:45 | 490 | მონაკო-ჰამბურგი | 2.15 | 3.00 | 3.10 | 1.25 | 1.26 | 1.52 |
| 23:45 | 491 | რომა-სტრასბური | 1.45 | 3.80 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.32 |
| 23:45 | 492 | ესპანიოლი-პალერმო | 1.95 | 3.00 | 3.70 | 1.18 | 1.27 | 1.65 |
| 23:45 | 493 | გიმარაეში-ბოლტონი | 2.65 | 3.20 | 2.35 | 1.44 | 1.24 | 1.35 |
| | | **როიალ ლიგა** | | | | | | |
| | | **24 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 535 | სტარტი-ჰამარბი | 2.10 | 3.40 | 3.00 | 1.29 | 1.23 | 1.59 |
| 21:00 | 536 | მიდტიულანდი-ვოლერენგა | 2.75 | 3.20 | 2.25 | 1.47 | 1.23 | 1.32 |
| 22:00 | 537 | ლინი-გიოტებორგი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| | | **პოლონეთი. თასი** | | | | | | |
| | | **22 ნოემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 503 | პოგონი-კუიავიაკი | 1.35 | 3.90 | 7.20 | 1.00 | 1.13 | 2.52 |
| | | **23 ნოემბერი** | | | | | | |
| 16:00 | 502 | პოდპესკიდზი-პლოცკი | 2.65 | 3.10 | 2.30 | 1.42 | 1.23 | 1.32 |
| 16:00 | 504 | კორონა-გროცლინი | 2.10 | 3.00 | 3.20 | 1.23 | 1.26 | 1.54 |
| | | **ინგლისი LDV Vans Trophy** | | | | | | |
| | | **22 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 511 | როტერჰემი-მაკლსფილდი | 1.60 | 3.50 | 4.50 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| 23:45 | 512 | ჰერეფორდი-პორტ ვეილი | 2.60 | 3.30 | 2.30 | 1.45 | 1.22 | 1.35 |
| 23:45 | 513 | ტრანმერი-როჩდეილი | 1.75 | 3.40 | 4.10 | 1.15 | 1.22 | 1.85 |
| 23:45 | 514 | ჰალიფაქსი-სკანთორპი | 2.60 | 3.40 | 2.25 | 1.47 | 1.20 | 1.35 |
| 23:45 | 515 | კემბრიჯი-დონკასტერი | 3.40 | 3.40 | 1.90 | 1.70 | 1.21 | 1.21 |
| 23:45 | 516 | უოკინგი-ჩელტენემი | 2.55 | 3.30 | 2.35 | 1.43 | 1.22 | 1.37 |
| 23:45 | 517 | კარლაილი-ბლეკპული | 2.20 | 3.30 | 2.80 | 1.32 | 1.23 | 1.51 |
| 23:45 | 518 | უოლსოლი-ბორნმუთი | 2.20 | 3.30 | 2.80 | 1.32 | 1.23 | 1.51 |
| 23:45 | 519 | მორიკომბი-ბრედფორდი | 2.80 | 3.30 | 2.20 | 1.51 | 1.23 | 1.32 |
| 23:45 | 520 | ბარნეტი-დონსი | 2.60 | 3.20 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |
| 23:45 | 521 | ჯილინგემი-უიკომბი | 2.20 | 3.30 | 2.80 | 1.32 | 1.23 | 1.51 |
| 23:45 | 522 | პიტერბრო-სუინდონი | 2.20 | 3.40 | 2.65 | 1.33 | 1.20 | 1.48 |
| 23:45 | 523 | სუონსი-რაშდენი | 1.40 | 4.20 | 6.00 | 1.04 | 1.13 | 2.47 |
| | | **23 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 508 | ბოსტონი-კიდერმინსტერი | 1.55 | 3.70 | 5.00 | 1.09 | 1.18 | 2.12 |
| 23:45 | 509 | ოქსფორდი-ლუტონი | 2.35 | 3.30 | 2.55 | 1.37 | 1.22 | 1.43 |
| 23:45 | 510 | კოლჩესტერი-ნორთჰემპტონი | 1.80 | 3.50 | 3.60 | 1.18 | 1.20 | 1.77 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი** | | | | | | |
| | | **22 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 655 | ჰვ 71-ფრიოლუნდა | 2.05 | 4.00 | 2.35 | 1.35 | 1.09 | 1.48 |
| 22:00 | 656 | მოდო-ტიმრე | 1.75 | 4.20 | 2.90 | 1.23 | 1.09 | 1.71 |
| 22:00 | 657 | ლინჩიოპინგი-სიოდერტელიე | 1.30 | 4.40 | 4.50 | 1.00 | 1.00 | 2.22 |
| | | **ჰოკეი. ფინეთი** | | | | | | |
| | | **22 ნოემბერი** | | | | | | |
| 20:30 | 674 | იუვესკიულე-ტაპარა | 2.15 | 4.00 | 2.30 | 1.39 | 1.11 | 1.46 |
| 20:30 | 675 | ლუკო-იოკერიტი | 2.00 | 4.10 | 2.40 | 1.34 | 1.09 | 1.51 |
| 20:30 | 676 | კალპა-ესეტი | 2.40 | 4.20 | 2.00 | 1.52 | 1.09 | 1.35 |
| 20:30 | 677 | ჰელსინკი-ესპოო | 1.75 | 4.20 | 2.70 | 1.23 | 1.06 | 1.64 |
| 20:30 | 678 | ჰაამეენლინა-სეიპა | 1.40 | 4.40 | 4.20 | 1.06 | 1.04 | 2.14 |
| 20:30 | 679 | პელიკანსი-კერპეტი | 3.30 | 4.30 | 1.45 | 1.86 | 1.00 | 1.08 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:30 | 680 | ილვესი-ტურკუ | 2.15 | 4.00 | 2.25 | 1.39 | 1.09 | 1.44 |
| | | **ჰოკეი. ჩეხეთი 22 ნოემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 695 | ვსეტინი-ლიბერეცი | 2.90 | 4.20 | 1.80 | 1.71 | 1.11 | 1.25 |
| 20:00 | 696 | ტრჟინეცი-ვიტკოვიცე | 2.15 | 4.00 | 2.30 | 1.39 | 1.11 | 1.46 |
| 20:30 | 697 | ლიტვინოვი-კარლოვი ვარი | 2.05 | 4.00 | 2.30 | 1.35 | 1.08 | 1.46 |
| 20:30 | 698 | კლადნო-პლზენი | 2.00 | 4.00 | 2.45 | 1.33 | 1.10 | 1.51 |
| 20:30 | 699 | ზნოიმო-ბუდეიოვიცე | 1.85 | 4.00 | 2.70 | 1.26 | 1.09 | 1.61 |
| 21:00 | 700 | პარდუბიცე-ზლინი | 2.05 | 4.10 | 2.35 | 1.36 | 1.09 | 1.49 |
| 22:00 | 701 | სლავია-სპარტა | 1.80 | 4.20 | 2.80 | 1.25 | 1.09 | 1.67 |
| | | **ჰოკეი. სლოვაკეთი 22 ნოემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 716 | კოშიცე-ტრენჩინი | 2.10 | 4.00 | 2.30 | 1.37 | 1.09 | 1.46 |
| 20:00 | 717 | მარტინი-სკალიცა | 2.30 | 4.00 | 2.15 | 1.46 | 1.11 | 1.39 |
| 20:00 | 718 | ჟილინა-ნიტრა | 2.35 | 4.00 | 2.10 | 1.48 | 1.10 | 1.37 |
| 20:00 | 719 | პოპრადი-სლოვანი | 2.00 | 4.00 | 2.35 | 1.33 | 1.08 | 1.48 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 720 | მიკულაში-ზვოლენი | 2.30 | 4.00 | 2.10 | 1.46 | 1.09 | 1.37 |
| | | **ჰოკეი. შვეიცარია 22 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 745 | სერვეტი-ლანგნაუ | 1.60 | 4.20 | 3.20 | 1.15 | 1.06 | 1.81 |
| | | **ჰოკეი. რუსეთი 22 ნოემბერი** | | | | | | |
| 13:00 | 764 | ს.იულაევი-ლადა | 1.40 | 4.50 | 3.90 | 1.06 | 1.03 | 2.08 |
| | | **ჩოგბურთი.კაცები.ლუქსემბურგი 22 ნოემბერი** | | | | | | |
| 15:00 | 528 | კიმი-ლისნარდი | 1.50 | 2.30 | | | | |
| 15:00 | 529 | ვლიეგენი-ლი | 1.70 | 1.90 | | | | |
| 15:00 | 530 | ბაგდატისი-ნორმანი | 1.50 | 2.30 | | | | |
| 15:00 | 532 | მიულერი-ენკვისტი | 1.50 | 2.30 | | | | |
| 15:00 | 533 | ბურგსმიულერი-საბაუ | 1.50 | 2.30 | | | | |
| 15:00 | 534 | სანტორო-კუბეკი | 1.35 | 2.80 | | | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10462 | ბარსელონა-ვერდერი | 1.70 | 2.30 | 6.30 | 1.00 | 1.33 | 1.68 |
| 10463 | მანჩესტერი-ვილიარეალი | 1.90 | 2.20 | 5.30 | 1.01 | 1.39 | 1.55 |
| 10464 | პანათინაიკოსი-უდინეზე | 2.65 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.50 | 1.27 |
| 10465 | ბაიერნი-რაპიდი | 1.35 | 2.80 | 9.00 | 1.00 | 1.17 | 2.13 |
| 10466 | აიაქსი-სპარტა | 1.70 | 2.40 | 5.80 | 1.00 | 1.31 | 1.69 |
| 10467 | იუვენტუსი-ბრიუგე | 1.30 | 2.80 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 2.13 |
| 10468 | თუნი-არსენალი | 4.20 | 2.00 | 2.30 | 1.35 | 1.48 | 1.06 |
| 10469 | ლილი-ბენფიკა | 2.45 | 2.00 | 3.90 | 1.10 | 1.50 | 1.32 |
| 10470 | ლივერპული-ბეტისი | 2.15 | 2.00 | 5.00 | 1.03 | 1.50 | 1.42 |
| 10471 | ფენერბაჰჩე-მილანი | 4.20 | 2.00 | 2.30 | 1.35 | 1.48 | 1.06 |
| 10472 | რეალი-ლიონი | 2.20 | 2.00 | 4.50 | 1.04 | 1.47 | 1.38 |
| 10473 | რუსენბორგი-ოლიმპიაკოსი | 2.70 | 2.00 | 3.55 | 1.14 | 1.53 | 1.27 |
| 10474 | შალკე-პსვ | 2.30 | 2.00 | 4.30 | 1.06 | 1.49 | 1.36 |
| 10475 | პორტუ-რეინჯერსი | 1.90 | 2.20 | 5.20 | 1.01 | 1.39 | 1.54 |
| 10476 | ანდერლეხტი-ჩელსი | 6.50 | 2.50 | 1.60 | 1.80 | 1.28 | 1.00 |
| 10477 | ინტერი-პეტრჟალკა | 1.35 | 2.60 | 8.00 | 1.00 | 1.15 | 1.96 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11462 | ბარსელონა-ვერდერი | 2.00 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11463 | მანჩესტერი-ვილიარეალი | 2.10 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.50 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11464 | პანათინაიკოსი-უდინეზე | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11465 | ბაიერნი-რაპიდი | 1.35 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11466 | აიაქსი-სპარტა | 1.90 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.50 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11467 | იუვენტუსი-ბრიუგე | 1.30 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11468 | თუნი-არსენალი | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.60 |
| 11469 | ლილი-ბენფიკა | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11470 | ლივერპული-ბეტისი | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11471 | ფენერბაჰჩე-მილანი | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.60 |
| 11472 | რეალი-ლიონი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11473 | რუსენბორგი-ოლიმპიაკოსი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11474 | შალკე-პსვ | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11475 | პორტუ-რეინჯერსი | 2.10 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11476 | ანდერლეხტი-ჩელსი | 11.00 | 11.00 | 20.00 | 12.00 | 5.00 | 3.50 | 30.00 | 12.00 | 1.70 |
| 11477 | ინტერი-პეტრჟალკა | 1.40 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 12462 | ბარსელონა-ვერდერი | 2.10 | 1.60 |
| 12463 | მანჩესტერი-ვილიარეალი | 1.70 | 1.90 |
| 12464 | პანათინაიკოსი-უდინეზე | 1.70 | 1.90 |
| 12465 | ბაიერნი-რაპიდი | 2.10 | 1.60 |
| 12466 | აიაქსი-სპარტა | 1.70 | 1.90 |
| 12467 | იუვენტუსი-ბრიუგე | 1.90 | 1.70 |
| 12468 | თუნი-არსენალი | 1.70 | 1.90 |
| 12469 | ლილი-ბენფიკა | 1.60 | 2.00 |
| 12470 | ლივერპული-ბეტისი | 1.60 | 2.00 |
| 12471 | ფენერბაჰჩე-მილანი | 1.70 | 1.90 |
| 12472 | რეალი-ლიონი | 1.90 | 1.70 |
| 12473 | რუსენბორგი-ოლიმპიაკოსი | 1.70 | 1.90 |
| 12474 | შალკე-პსვ | 1.70 | 1.90 |
| 12475 | პორტუ-რეინჯერსი | 1.70 | 1.90 |
| 12476 | ანდერლეხტი-ჩელსი | 1.70 | 1.90 |
| 12477 | ინტერი-პეტრჟალკა | 1.90 | 1.70 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13462 | ბარსელონა-ვერდერი | 1.90 | 1.70 |
| 13463 | მანჩესტერი-ვილიარეალი | 1.70 | 1.90 |
| 13464 | პანათინაიკოსი-უდინეზე | 1.70 | 1.90 |
| 13465 | ბაიერნი-რაპიდი | 1.90 | 1.70 |
| 13466 | აიაქსი-სპარტა | 1.90 | 1.70 |
| 13467 | იუვენტუსი-ბრიუგე | 2.00 | 1.60 |
| 13468 | თუნი-არსენალი | 1.90 | 1.70 |
| 13469 | ლილი-ბენფიკა | 1.70 | 1.90 |
| 13470 | ლივერპული-ბეტისი | 1.70 | 1.90 |
| 13471 | ფენერბაჰჩე-მილანი | 1.70 | 1.90 |
| 13472 | რეალი-ლიონი | 1.70 | 1.90 |
| 13473 | რუსენბორგი-ოლიმპიაკოსი | 1.70 | 1.90 |
| 13474 | შალკე-პსვ | 1.70 | 1.90 |
| 13475 | პორტუ-რეინჯერსი | 1.70 | 1.90 |
| 13476 | ანდერლეხტი-ჩელსი | 2.00 | 1.60 |
| 13477 | ინტერი-პეტრჟალკა | 2.10 | 1.55 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14462 | ბარსელონა-ვერდერი | 1.25 | 2.50 |
| 14463 | მანჩესტერი-ვილიარეალი | 1.40 | 2.40 |
| 14464 | პანათინაიკოსი-უდინეზე | 1.80 | 2.00 |
| 14465 | ბაიერნი-რაპიდი | 1.04 | 2.90 |
| 14466 | აიაქსი-სპარტა | 1.20 | 2.60 |
| 14467 | იუვენტუსი-ბრიუგე | 1.06 | 2.90 |
| 14468 | თუნი-არსენალი | 2.30 | 1.60 |
| 14469 | ლილი-ბენფიკა | 1.70 | 2.20 |
| 14470 | ლივერპული-ბეტისი | 1.60 | 2.30 |
| 14471 | ფენერბაჰჩე-მილანი | 2.10 | 1.65 |
| 14472 | რეალი-ლიონი | 1.60 | 2.10 |
| 14473 | რუსენბორგი-ოლიმპიაკოსი | 1.80 | 2.00 |
| 14474 | შალკე-პსვ | 1.70 | 2.20 |
| 14475 | პორტუ-რეინჯერსი | 1.30 | 2.50 |
| 14476 | ანდერლეხტი-ჩელსი | 2.60 | 1.15 |
| 14477 | ინტერი-პეტრჟალკა | 1.06 | 2.90 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15462 | ბარსელონა-ვერდერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15463 | მანჩესტერი-ვილიარეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15464 | პანათინაიკოსი-უდინეზე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15465 | ბაიერნი-რაპიდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15466 | აიაქსი-სპარტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15467 | იუვენტუსი-ბრიუგე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15468 | თუნი-არსენალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15469 | ლილი-ბენფიკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15470 | ლივერპული-ბეტისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15471 | ფენერბაჰჩე-მილანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15472 | რეალი-ლიონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15473 | რუსენბორგი-ოლიმპიაკოსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15474 | შალკე-პსვ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15475 | პორტუ-რეინჯერსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15476 | ანდერლეხტი-ჩელსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15477 | ინტერი-პეტრჟალკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16462 | ბარსელონა-ვერდერი | 1.15 | 3.90 |
| 16463 | მანჩესტერი-ვილიარეალი | 1.20 | 3.40 |
| 16464 | პანათინაიკოსი-უდინეზე | 1.60 | 1.90 |
| 16466 | აიაქსი-სპარტა | 1.12 | 4.20 |
| 16468 | თუნი-არსენალი | 2.40 | 1.35 |
| 16469 | ლილი-ბენფიკა | 1.45 | 2.25 |
| 16470 | ლივერპული-ბეტისი | 1.25 | 3.10 |
| 16471 | ფენერბაჰჩე-მილანი | 2.40 | 1.40 |
| 16472 | რეალი-ლიონი | 1.30 | 2.65 |
| 16473 | რუსენბორგი-ოლიმპიაკოსი | 1.60 | 1.90 |
| 16474 | შალკე-პსვ | 1.40 | 2.45 |
| 16475 | პორტუ-რეინჯერსი | 1.20 | 3.30 |
| 16476 | ანდერლეხტი-ჩელსი | 4.70 | 1.08 |

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17462 | ბარსელონა-ვერდერი | 1.85 | 1.95 |
| 17463 | მანჩესტერი-ვილიარეალი | 1.85 | 1.95 |
| 17464 | პანათინაიკოსი-უდინეზე | 1.85 | 1.95 |
| 17465 | ბაიერნი-რაპიდი | 1.85 | 1.95 |
| 17466 | აიაქსი-სპარტა | 1.85 | 1.95 |
| 17467 | იუვენტუსი-ბრიუგე | 1.85 | 1.95 |
| 17468 | თუნი-არსენალი | 1.85 | 1.95 |
| 17469 | ლილი-ბენფიკა | 1.85 | 1.95 |
| 17470 | ლივერპული-ბეტისი | 1.85 | 1.95 |
| 17471 | ფენერბაჰჩე-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 17472 | რეალი-ლიონი | 1.85 | 1.95 |
| 17473 | რუსენბორგი-ოლიმპიაკოსი | 1.85 | 1.95 |
| 17474 | შალკე-პსვ | 1.85 | 1.95 |
| 17475 | პორტუ-რეინჯერსი | 1.85 | 1.95 |
| 17476 | ანდერლეხტი-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 17477 | ინტერი-პეტრჟალკა | 1.85 | 1.95 |



ზაზა მაჩალაძე ევრომატჩებსაც პრინციპულად მსაჯობს

# გალამ ხიმიკს პირში ჩალა გამოავლო

## მაჩალაძე ევროპელ მწვრთნელებსაც გადასწვდა

**გასული** კვირის მთავარი მოვლენა, ცხადია, ზაზა ფაჩულიას ნბა-ში დამყარებული „ქართული რეკორდი" გახლდათ, თუმც რაკი ამის შესახებ ვრცლად მოგითხრეთ, ლეგიონერთა მიმოხილვას სხვა ამბებით დავიწყებთ.

ვგულისხმობთ ჩვენს არბიტრ ზაზა მაჩალაძეს, ვინც გასულ კვირაში ევროპის „ჩელენჯ ქაპის" — ის მატჩი განსაჯა, რომელშიც ჩვენი თანამემამულეები მონაწილეობდნენ. მისი მსაჯობა სასტვენბედნიერი გამოდგა აზერბაიჯანული „გალასთვის".

ამ ბაქოურ გუნდში ზვიად ბაბიაშვილი და დავით ბარბაქაძე თამაშობენ და იქვეა ქართულ კლუბებმოვლილი, კალათბურთელად საქართველოში ჩამოყალიბებული ჯოლივეტ ტუჯანი. „გალამ" უდაბულეს ჯახში იმარჯვა, რაშიც ქართველ მოთამაშეებზე დიდი წვლილი ქართველ მსაჯს მიუძღვის.

ბაქოს საკმაოდ ძლიერი და თავმოყვარე გუნდი სტუმრობდა, უკრაინული „ხიმკი", რომელიც თამაშის დასაწყისში რომ დაწინაურდა, ბოლო მეოთხედშიც გვარიანად ლიდერობდა.

ყველაფერი იქით მიდიოდა, რომ უკრაინელები მორიგ გამარჯვებას იზეიმებდნენ, მაგრამ ბაქოელებმა ერთი გამოლვიძება გამოილვიძეს და ლიტველი დარიუს ლუკმინასის დახმარებით დროის ერთი მონაკვეთი 13:0 მოიგეს. ანგარიში გათანაბრდა და თამაშის ბოლომაც მოატანა. სირენამდე 2 წუთით ადრე საკმაოდ საკამათო ეპიზოდი შეიქმნა, რასაც უკრაინელთა მწვრთნელის აღშფოთება მოჰყვა და ზაზა მაჩალაძემ თამაშის გადამწყვეტ მომენტში „ხიმკი" უთავკაცოდ დატოვა.

ეს იყო და, სტუმრები გატყდნენ, თამაში ისე ჩაამთავრეს, წარმატების რეალური შანსი აღარ მისცემიათ.

ამ გამარჯვებამ „გალას" სასიცოცხლო სული შთაბერა. 24 ნოემბერს ბაქოელები პერმში „ურალ გრეიტს" ეთამაშებიან და თუ მოიგეს, ჯგუფიდან გავლენ.

„გალას" ორ ქართველზე ვერაფერს ვიტყვით, რადგან ერთმა, დავით ბარბაქაძემ, არ ითამაშა, ხოლო ზვიად ბაბიაშვილი 3 წუთით გაიყვანეს მოედანზე და ცხადია, ვერც ვერაფერი მოასწრო, აი, ტუჯანი კი ძირითადში იყო, თუმც ისე ელვისებურად აკრიფა საჯარიმოები, რომ მთლიანობაში 12 წუთი იბურთავა.

აზერბაიჯანიდან, ცოტა უხერხული კია, მაგრამ ესპანეთში, შიგ ბარსელონაში გადავინაცვლოთ, სადაც გასულ კვირაში სენსაცია მოახდინა ევროლიგის დებიუტანტმა, ლიტვურმა „ლიეტუვოს რიტასმა". დიახ, „ბარსა" საკუთარ კედლებში დამარცხდა, რომელიც შემონდ უილიამსმა კი ათრია, მაგრამ წაგება მაინც ვერ ააცილა.

საქართველოს ნაკრების ამერიკელმა გამთამაშებელმა 27 ქულა ჩაუგდო ბალტიელებს და მატჩის ბომბარდირიც გახდა, მაგრამ ეს ვერაფერი ნუგეში გამოდგა კატალონიელი ქომაგებისთვის.

ევროსარბიელზე მარცხს კატალონიელებმა შიდაჩემპიონატში ჩაფლავებაც მიაყოლეს, რაც ბარსასთვის პირველი მარცხი გახლდათ პრიმერადივიზიონში 7 საწყისი გამარჯვების შემდეგ. ნავსის გამტეხი „ლანერა" გამოდგა, რომელმაც შინაურ სარბიელზე შანსი არ დაუტოვა ბარსელონელებს — 82:70. უილიამსი „ლანერასთან" მოკრძალებული იყო — 28 წუთში 7 ქულას მოუყარა თავი.

საევროლიგო მარცხი იწვნია ვლადიმერ ბოისას „სიენამაც", თუმც ამაზე ცუდი ისაა ჩვენთვის, რომ საქართველოს ნაკრების სუპერფორვარდმა უხეიროდ ითამაშა. ბოისა მოედანზე 12 წუთით გავიდა და ქულაც ვერ მოიხვეჭა. ერთადერთი, რაც მოახერხა, ის იყო, რომ სამჯერ ჩაჭრა ბურთი.

სერია A კი დროებით დახურულია ბოისასთვის. არაევროკავშირელთა ლიმიტის გამო სიენელებს ის განაცხადში არ შეჰყავთ და ამერიკელ ლეგიონერებზე აკეთებენ აქცენტს.

**ირაკლი პერტაია**

| სახელი გვარი | გუნდი | ტურნირი | მეტოქე | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | პ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვლადიმერ ბოისა | სიენა | ევროლიგა<br>სერია A | პანათინაიკოსი<br>კანტუ | შ<br>შ | 78:82<br>89:66 | 12<br>არ უთამაშია | 0 | 0 | 0 |
| შემონდ უილიამსი | ბარსელონა | ევროლიგა<br>ესპანეთის ჩემპიონატი | ლიეტუვოს რიტასი<br>ლანერა | შ<br>ს | 91:97<br>70:82 | 34<br>28 | 27<br>7 | 3<br>0 | 5<br>3 |
| დავით იმნაძე | პრეძევი | სლოვაკეთის ჩემპიონატი | სპიშკა | ს | 62:81 | 25 | 5 | 5 | 1 |
| ზვიად ბაბიაშვილი | გალა | ჩელენჯ ქაპი | ხიმიკი | შ | 86:81 | 3 | 0 | 1 | 0 |
| დავით ბარბაქაძე | გალა | ჩელენჯ ქაპი | ხიმიკი | შ | 86:81 | არ უთამაშია | | | |
| ზაზა ფაჩულია | ატლანტა | NBA რეგულარული ჩემპ | ნიუ ორლეანი<br>სან ანტონიო<br>დალასი | ს<br>ს<br>ს | 92:95<br>79:103<br>78:87 | 37<br>21<br>42 | 10<br>6<br>21 | 14<br>2<br>12 | 1<br>1<br>3 |
| ნიკოლოზ ცქიტიშვილი | მინესოტა | NBA რეგულარული ჩემპ | ჰიუსტონი<br>შარლოტი<br>ვაშინგტონი | შ<br>შ<br>შ | 89:94<br>102:89<br>109:98 | არ უთამაშია | | | |

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ს — სტუმრად; შ — შინ

# ესეც ვიცე-პრეზიდენტები და გენმდივანი

**საქართველოს** კალათბურთის ფედერაციის პრესცენტრიდან გვაცნობეს, რომ გუშინ გაიმართა ამ ორგანიზაციის გამგეობის პირველი სხდომა.

გამგეობის წევრებმა ვიცე-პრეზიდენტებად აირჩიეს ლაშა ძიძავა, გიორგი მელაძე და ვახტანგ ნაცვლიშვილი, ხოლო გენერალურ მდივნად — მერაბ რატიშვილი.

გამგეობის მორიგ სხდომაზე, რომელიც ორი კვირის შემდეგ გაიმართება, დასახელდებიან ფედერაციის კომიტეტები და მათი თავმჯდომარეები.

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# მოუგებელი ერთიღა დარჩა

20 იანვარი

**ნიუ იორკი 103:92 პორტლენდი**

**ნიუ იორკი:** მარბერი (27 ქულა, 8 პასი), ფრაი (20 ქულა, 6 მოხსნა), კროუფორდი (19 ქულა, 5 მოხსნა)

**პორტლენდი:** ტელფერი (27 ქულა, 6 მოხსნა, 7 პასი), რენდოლფი (17 ქულა), მაილსი (16 ქულა, 7 მოხსნა)

**ტორონტო 107:94 მაიამი**

**ტორონტო:** ბოში (27 ქულა, 12 მოხსნა), მ. ჯეიმსი (25 ქულა, 6 პასი), როუზი (22 ქულა, 6 პასი)

**მაიამი:** უეიდი (33 ქულა, 8 მოხსნა, 9 პასი), უოლკერი (15 ქულა), მოურნინგი (11 ქულა, 7 მოხსნა)

**კლიპერსი 113:101 გოლდენ სტეიტი**

**კლიპერსი:** ბრენდი (32 ქულა, 10 მოხსნა), მაგეტი (24 ქულა, 9 მოხსნა, 5 პასი), მობლი (22 ქულა, 8 მოხსნა)

**გოლდენ სტეიტი:** ბ. დევისი (21 ქულა, 5 მოხსნა, 10 პასი), ჯ. რიჩარდსონი (20 ქულა, 5 მოხსნა), მერფი (12 ქულა, 7 მოხსნა)

**ინდიანა 85:74 ჰიუსტონი**

**ინდიანა:** არტესტი (24 ქულა, 5 მოხსნა), ს. ჯეკსონი (17 ქულა), ჯ. ონილი (15 ქულა, 11 მოხსნა)

**ჰიუსტონი:** იაო მინგი (24 ქულა, 13 მოხსნა), ანდერსონი (13 ქულა), ვესლი (12 ქულა, 6 მოხსნა).

**დენვერი 99:83 მემფისი**

**დენვერი:** კემბი (21 ქულა, 21 მოხსნა, 4 დაფარება), ენტონი (21 ქულა, 10 მოხსნა), ბოიკინსი (18 ქულა).

**მემფისი:** გასოლი (24 ქულა, 12 მოხსნა), ბატიე (20 ქულა, 7 მოხსნა)

**სიეტლი 106:104 საკრამენტო**

**სიეტლი:** ალენი (28 ქულა, 7 პასი), რადმანოვიჩი (17 ქულა, 6 მოხსნა). რ. ლუისი (14 ქულა)

**საკრამენტო:** სტოიაკოვიჩი (25 ქულა), ბიბი (25 ქულა), ბ. მილერი (18 ქულა, 8 მოხსნა, 8 პასი)

**ლეიკერსი 96:93 ჩიკაგო**

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (43 ქულა, 6 მოხსნა), მიმი (13 ქულა)

**ჩიკაგო:** დუჰონი (21 ქულა, 5 მოხსნა, 8 პასი), სვიტნი (20 ქულა, 12 მოხსნა), ჰინრიხი (16 ქულა, 8 პასი)

**სეზონში** პირველი გამარჯვება იზეიმა „ტორონტო რეპტორსმა" და ამით ბოლო მოუღო თავისი 9-წლიანი არსებობის განმავლობაში აღებულ ყველაზე ცუდ სტარტს. ამ გამარჯვების შემდეგ ლიგაში მხოლოდ ერთი გუნდიღა დარჩა, რომელსაც ჯერ არ უგემია მოგება. — ეს ზაზა ფაჩულიას „ატლანტაა".

„ტორონტომ" თავისი პირველი გამარჯვება ჩემპიონობის ერთ-ერთ კანდიდატად მიჩნეულ „მაიამისთან" მოიპოვა. ფლორიდელებს დაშავებული ჰყავთ შაკილ ონილი, რომელსაც 3 ნოემბრის შემდეგ არ უთამაშია და ეს თავისთავად დაეტყო გუნდს. ამას წლეულს მრავალჯერადი გაცვლების შედეგად გადმოყვანილი გამთამაშებელი — ჯეისონ უილიამსისა და ფორვარდ ჯეიმს პოუზის ტრავმებიც დაემატა, რის გამოც „მაიამის" მწვრთნელ სტენ ვან განდის ბოლო თამაშებში ფონს გასვლა შვიდი-რვა კალათბურთელით უწევდა. არადა, სეზონის სტარტზე კალათბურთელები ჯერ არ იმყოფებიან ისეთ ფიზიკურ ფორმაში, რომ ასეთ დატვირთვებს გაუძლონ. ყოველივე ამან მეტად უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა „მაიამის თამაშზე.

„რეპტორსის" შემადგენლობაში კვლავაც მშვენივრად იასპარეზა კრის ბოშმა, რომელიც შარშან ვინს კარტერის წასვლის შემდეგ კანადური გუნდის უეჭველ ლიდერად იქცა. ამ მატჩშიც მან მორიგი ორმაგი დუბლი ჩაიწერა თავის ანგარიშზე — კარიერის უმაღლესი, 27 ქულა დააგროვა და ზედ 12 მოხსნაც დააყოლა.

ბოშს მხარი კარგად აუბეს მაიკ ჯეიმსმა და ჯალენ როუზმა. სწორედ ამ სამეულის ჩინებული თამაშის წყალობით მოიგო „ტორონტომ".

„მაიამის" რიგებში კი კვლავაც დუეინ უეიდი გამოირჩა თავისი 33 ქულით, თუმც ეს საკმარისი არ აღმოჩნდა მეტოქის დასამარცხებლად.

მატჩის გადამწყვეტ მომენტად მეოთხე პერიოდის მიწურული იქცა, როცა „ტორონტო" ბოშისა და ახალბედა ჩარლი ვილანუევას მეცადინეობით 18:2 „გაიქცა" და „მაიამის" უბრალოდ დრო აღარ დარჩა, რომ მეტოქეს დასწეოდა.

ძალიან საინტერესო შეხვედრა გაიმართა ინდიანაში, სადაც „ჰიუსტონ როკეტსი" სტუმრობდა. ტეხასელების წარმატება როგორც წესი, მათი ორი ლიდერის — „ტრეისი მაქგრეიდისა და იაო მინგის კარგ თამაშზეა დამოკიდებული, ამ შეხვედრის წინ კი გაირკვა, რომ მაქგრეიდი ზურგის ქრონიკული ტრავმის გამო ვერ შეძლებდა მატჩში მონაწილეობას.

აქედან გამომდინარე, „ინდიანას" კალათბურთელებს უკვე ხელთ ეპყრათ მატჩის მოგების რეცეპტი, — უბრალოდ, მათ მაქსიმალურად უნდა შეეზღუდათ იაო მინგისთვის სათამაშო სივრცე. ჰოდა, პეისერსის კალათბურთელებიც ასე მოიქცნენ — სკოტ პოლარდმა და დევიდ ჰარისონმა ჩინელს მეტად გაურთულეს საქმე, მან 24 ქულა კი მოაგროვა, მაგრამ ძირითადად ეს ბოლო მეოთხედში მოახერხა ანუ მაშინ, როცა მატჩის ბედი ფაქტობრივად გადაწყვეტილი იყო, მანამდე კი 14 ტყორცნიდან მინგმა მხოლოდ 3 მოათავსა კალათში.

„ინდიანას" კი ამჯერად რონ არტესტმა ულიდერა, რომელმაც დაცვაში თამაშის პარალელურად შეტევაშიც მშვენივრად იასპარეზა. კარგად ითამაშეს სტივენ ჯეკსონმა და ჯერმეინ ონილმაც. ინდიანელთა ზეხისტმა დაცვამ ტეხასელებს 19-ჯერ დააკარგვინა ბურთი.

გადამწყვეტი უპირატესობა „ინდიანამ" მეოთხე პერიოდის დასაწყისში მოიპოვა, როცა ერთ მომენტში 14:4 ჩამოიტოვა მეტოქე, ამ დროს არტესტმა და ლიტველმა გამთამაშებელმა შარუნას იასიკევიჩიუსმა 4-4 ქულა შემატეს თავიანთ გუნდს.

ეს „ინდიანას" მეექვსე გამარჯვება იყო ამ სეზონში, ჰიუსტონმა კი წლეულს მაქგრეიდის არყოფნაში ყველა შეხვედრა წააგო.

**კახა ლომაშვილი**

# უცნაური მასტერსი

## ფედერერმა ერთი რეკორდი მაინც დაამყარა

**წლევანდელი** მასტერსის თასი მეტად უცნაური გამოდგა. წლის შემაჯამებელ ტურნირზე ყოველთვის საუკეთესონი იყრიან თავს, ამჯერად კი მას მრავალი ფავორიტი გამოაკლდა, თუმც თავისი ხიბლი მაინც შეინარჩუნა.

არადა, შანხაისადმი ინტერესი დიდწილად ტურნირის დაწყებამდე განელდა, რადგან მიზეზთა გამო ვერ ჩავიდნენ თანამედროვე საჩოგბურთო ელიტის ისეთი წარმომადგენლები, როგორებიც არიან მარატ საფინი, ლეიტონ ჰიუიტი და ენდი როდიკი, ხოლო ტურნირის პირველივე სათამაშო დღეს თავიანთი კანდიდატურები მოხსნეს გამოცდილმა ანდრე აგასიმ და წლევანდელი სეზონის მთავარმა აღმოჩენამ რაფაელ ნადალმა.

იყო შანსი, რომ ჩინეთში არც შვეიცარიელ როჯერ ფედერერს ესპარეზა. მან ოქტომბერში ქუსლის ტრავმა მიიღო, რის გამოც რამდენიმე კვირა გაუცდა. ამასთან, შანხაიში ხომ ყველაზე ხისტი კორტებია. თუმც ფედერერმა მაინც ითამაშა, რადგან ჰქონდა ამის რამდენიმე მოტივი: მას შეეძლო, გაემეორებინა 1984 წელს ჯონ მაკენროის მიერ დამყარებული რეკორდი (სეზონში 82 მოგება, 3 წაგება) და ამასთანავე პირველი ჩოგბურთელი გამხდარიყო ივან ლენდლის შემდეგ, რომელიც სამჯერ ზედიზედ მოიგებდა წლის შემაჯამებელ ტურნირს.



როჯერ ფედერერი

უნდა ითქვას, რომ შვეიცარიელს მხოლოდ ნაბიჯი დააკლდა, რომ ორივე მიზანი აესრულებინა. გაცდენილმა რამდენიმე კვირამ მაინც თავისი გააკეთა — ფინალში კარგად გამოჩნდა, რომ შვეიცარიელი ფიზიკურად არ იყო იმდენად მზად, რომ ხუთსეტიანი დაპირისპირებისთვის გაეძლო.

ჯგუფებში კი თითქმის ყველაფერი მოლოდინისამებრ განვითარდა. მხოლოდ ერთი რამ იქცა შედარებით სიურპრიზად — წითელი ჯგუფიდან როჯერ ფედერერთან ერთად არგენტინელი დავიდ ნალბანდიანი გავიდა და არა ბოლო პერიოდში შესანიშნავ ფორმაში მყოფი ხორვატი ივან ლიუბიჩიჩი.

ნახევარფინალებში არანაირი ბრძოლა არ ყოფილა. წითელი ჯგუფის წარმომადგენლები ერთი თავით მაღლა იდგნენ ოქროს ჯგუფიდან გასულ ჩოგბურთელებზე — რუს ნიკოლაი დავიდენკოსა და არგენტინელ გასტონ გაუდიოზე.

დავიდ ნალბანდიანმა დავიდენკოს საათნახევარში მოუგო და ისე მოხვდა ფინალში, აი, ფედერერმა კი გასტონ გაუდიო პირდაპირ გაანადგურა და გეიმიც კი არ აალებინა. ამით შვეიცარიელმა მაინც დაამყარა ერთი რეკორდი, თანაც ისეთი, რომელსაც ვერც ვერავინ გააუმჯობესებს და, ალბათ, შეიძლება მხოლოდ ვინმემ გაიმეოროს. კერძოდ — მასტერსის თასის გათამაშებისას აქამდე არ მომხდარა, რომ ჩოგბურთელს ნულზე მოეგოს ორივე სეტი. როგორც ამ შეხვედრის შემდეგ ხუმრობდნენ, ფედერერმა გაუდიოს მასტერ-კლასი ჩაუტარა.

ფინალი მართლაც ისეთი გამოდგა, რომელიც ამ დონის ტურნირის საკადრისი გამოვიდა. ფედერერმა და ნალბანდიანმა ნამდვილი საჩუქარი უძღვნეს მაყურებელს. საბოლოოდ, როგორც მოგეხსენებათ, ამ ოთხსაათნახევრიან ორთაბრძოლაში ნალბანდიანმა იმა რჯვა და 1974 წლის მერე პირველი არგენტინელი გახდა, რომელმაც ასეთი ტურნირი მოიგო.

**ქაxა ლომაშვილი**

# ახლა თევზაობაც შეიძლება

*შანხაიში, მასტერსის თასის გათამაშების წლევანდელ ტრიუმფატორ დავიდ ნალბანდიანს პრესკონფერენციაზე ბევრი რამ ჰკითხეს, აქ კი ყველაზე საინტერესო ნაწყვეტებს შემოგთავაზებთ. ვფიქრობთ, მკითხველისთვის ეს უინტერესო არ იქნება. მანამდე კი იმას აღვნიშნავთ, რომ არგენტინელი ვერ ფარავდა თავის ემოციებს.*

— არის თუ არა ეს თქვენი კარიერის საუკეთესო მომენტი?

— რა თქმა უნდა. მართლაც დიდებულია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რა თამაში მოვიგე, თან როგორ. ძალიან ძნელი იყო, მით უმეტეს მსოფლიოს პირველ ჩოგანთან.

— პირველი ორი სეტი კარგად ითამაშეთ, მაგრამ მაინც წააგეთ. რამდენად ძნელი იყო თქვენთვის, ასეთ პირობებში გაგეგრძელებინათ ბრძოლა და გამარჯვებაზე გეფიქრათ?

— უძნელესი იყო. კარგად ვთამაშობდი, მაგრამ მაინც წავაგე ორი სეტი. მაშინ გავიფიქრე — „დასწყევლოს ღმერთმა, აი, ახლა კი ნამდვილად ბრძოლა მომიწევს". ვიცოდი, რომ როჯერი 100 პროცენტით მზად არ იყო და მესამე სეტში ეს შევატყვე კიდეც. ამიტომ გავაგრძელე ჩემი თამაში და ბოლომდე ვიბრძოლე. შეიძლება ითქვას, რომ მთელი ფიზიკურ-მორალური ძალები კორტზე დავტოვე.

— ადრე თქვენ გადამწყვეტ მატჩებს საკმაოდ ცუდად თამაშობდით. შეგმატებთ თუ არა ეს გამარჯვება საკუთარი თავის რწმენას?

— აუცილებლად, ლეიტონ ჰიუიტთან უიმბლდონის ფინალში (2002 წელს) ისე ვნერვიულობდი, რომ საერთოდ ვერაფერი ვაჩვენე. თუმცა ამ გამარჯვების შემდეგ, რომელიც ამდენად რთულ ბრძოლაში მოვიპოვე, შემდგომში კორტზე გასვლისას უფრო დარწმუნებული ვიქნები ჩემს ძალებში.

— აპირებთ თუ არა, მადლობა გადაუხადოთ ენდი როდიკს შანხაიში ასპარეზობის შანსი რომ მოგცათ?

— მართლაც მადლობა უნდა მოვუხადო. მისი უარი რომ არა, აქ თამაშის შესაძლებლობა არ მექნებოდა.



დავიდ ნალბანდიანი

— ხომ არ ფიქრობთ, რომ მედია ან მაყურებელი საკმარის ყურადღებას არ გაქცევდათ?

— ფაქტობრივად ბოლო ვიყავი აქ მოხვედრილთა შორის, თან სხვა ჩოგბურთელის ტრავმის გამო. ასე რომ, ეს ფაქტი არ გამკვირვებია. თუმცა ვფიქრობ, რომ ჩემი გამარჯვებით ყველა გავაკვირვე და ყურადღება ახლა ნახეთ.

— ასე ხშირად რატომ გამოგყავდათ ფედერერი ბადესთან, თქვენი სტილია თუ სპეციალურად ამ თამაშის დროს იქცეოდით ასე?

— არა, ჩემი სტილი არ არის. უბრალოდ, მინდოდა, რომ მოწინააღმდეგეს რაც შეიძლება, ბევრი ერბინა.

— რა იყო გადამწყვეტი თქვენს გამარჯვებაში: რიტმის კონტროლი, უკანა ხაზიდან კარგი თამაში თუ კარგად შესრულებული ბექჰენდები?

— ყველაფერი ერთად. როცა როჯერთან თამაშობ, ყველა კომპონენტში კარგად უნდა გამოიყურებოდე, თორემ ისე გამარჯვების შანსი არ გექნება.

— მეხუთე სეტში, როცა 6:5-ს იგებდით, რა იფიქრეთ ფედერერის მოწოდებისას?

— ვიფიქრე, ასე უსახელოდ თუ წავაგებ, შინ არ დავბრუნდები-მეთქი. მე გადამწყვეტ სეტში ანგარიში 4:0 მიმყავდა და უპირატესობა ხელიდან გავუშვი. როცა როჯერის ჩამოწოდება ავიღე, გამახსენდა, რომ მას ჩვენს წინა შეხვედრებში ორივე ტაიმ-ბრეიკი დავუთმე. ასეთი აზრები ყურადღების მობილიზებაში ხელს მიშლიდა, მაგრამ ეს მაინც მოვახერხე.

— თქვენმა თანამემამულე გასტონ გაუდიომ აღიარა, რომ ჩოგბურთელთა უმრავლესობა ფედერერთან შეხვედრისას პაექრობის დაწყებამდე აგებს...

— მე როჯერთან მუდამ დაძაბული მატჩები მქონდა. სწორედ ასეთ ბრძოლას ველოდი. მე უფრო გამიმართლა.

— თქვენ ფედერერს ათიდან მეექვსე მატჩი მოუგეთ. ეს გამარჯვების რწმენას ხომ არ შეგმატებთ სამომავლოდ?

— აქამდე რა იყო, ეს არავის აღელვებს. მთავარია ის, რაც ახლა ხდება.

— ლიუბიჩიჩთან მატჩის მერე თქვენ თქვით, რომ ზოგჯერ გიჭირთ მოტივაციის პოვნა. ასეთი გამარჯვების მერე უფრო ხომ არ გაგიიოლდებათ მისი პოვნა?

— ახლა მინდა, რომ სეზონი გრძელდებოდეს. მომდევნო სეზონში ყველაფერია მოსალოდნელი. მხოლოდ იმას გპირდებით, რომ გასამარჯვებლად ცდას და მონდომებას არ დავაკლებ.

— ახლანდელი წარმატებების მერე დიდი მუზარადის ტურნირებში გამარჯვებულ ფედერერთან, ნადალთან, ჰიუიტთან და საფინთან ერთ რიგში ხომ არ გრძნობთ თავს?

— ტოპ-ტურნირებში მე მუდამ კარგად ვთამაშობდი, ნახევარფინალებშიც გავსულვარ და ფინალებშიც. ვფიქრობ, რომ მე აუცილებლად მოვიგებ ტოპ-ტურნირს. მე ამის ღირსი ვარ.

— არ წუხართ, რომ ჩინეთში სათევზაოდ ვერ წახვედით?

— ნუ ღელავთ, ამას აუცილებლად მოვასწრებ.

**ქაxა ლომაშვილი**



ბადრი კიკილაშვილის ფოტო

ქარიშხლელმა ნიკა ჯორბენაძემ ჩემპიონებს სამჯერ გაუტანა

## საქართველოს XVI ჩემპიონატი

მესამე წრე. ასკ-ს დარბაზი

**ქარიშხალა 22:17 სტუ-შევარდენი**

**ქარიშხალა:** გიორგი ტორონჯაძე, სამყურაშვილი, მელქოშვილი (გაიტანა 8 გოლი), მახვილიძე (4), სიგუა (3), ჯორბენაძე (3), ბერძენიშვილი (1), ამირანაშვილი (1), ირაკლი ჩიქოვანი (1), გოგალაძე (1), ლეჟავა, საჯაია, ზაალიშვილი
**სტუ-შევარდენი:** კუპატაძე, წიწნიაძე (6), გიორგი კობახიძე (4), ტალახაძე (3), ნადირაძე (2), ნიკოლაიშვილი (1), ამირან ყიფიანი (1), ჯიშკარიანი, ომარ ყიფიანი
**მსაჯები:** ელენე არაბული, ნინო ელოშვილი

**ხ/კ თბილისი 35:12 სსსსუ-მამული**

**ხკ თბილისი:** სეთურიძე, გონჩაროვი (1), გრიშიკაშვილი (8), მამასახლისი (6), ქირია (4), გიორგელაშვილი (4), სამარლანიშვილი (3), ნატროშვილი (3), ლალაძე (3), გელა არაბული (2), ქარდავა (1), ცეცხლაძე
**სსსსუ-მამული:** ხონელიძე, რობაქიძე, შათირიშვილი (4), შონია (3), მაისურაძე (2), სიხარულიძე (1), ყაველაშვილი (1), გელაშვილი (1), გიორგი არაბული, გელოვანი, გობეჯიშვილი, კიზირია, ხუციშვილი
**მსაჯები:** ელენე არაბული, ნინო ელოშვილი

# რუსია უკრაინელია

**გუშინ** თბილისში, არმიის სპორტული კლუბის დარბაზში ვაჟ ხელბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის მესამე წრე დაიწყო. დაიწყო და მერე როგორ, სენსაციითო, ვერ ვიტყვით, თუმც აშკარად მოულოდნელი შედეგით.

მართალია, ორიოდე თვის წინ დაწყებულ სეზონში თბილისის ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის სპეციალიზებული ცენტრის „ქარიშხალა" წინანდელზე უკეთ მომზადებული და მონდომებული ჩანს, თუმც მისგან საქართველოს 15-გზის ჩემპიონ „სტუ-შევარდენის" უპრობლემოდ ძლევას ალბათ, ვერავინ წარმოიდგენდა.

ტექნიკოსებს მოაკლდათ მთავარმეგოლე ვლადიმერ რუსია, რომელიც უკრაინაში, კერძოდ დონეცკის „შახტარში" გააგრძელებს კარიერას.

თავიდან მივყვეთ. უცვლელ ჩემპიონთა და სკოლის წარმომადგენელთა შეხლა ორივე გუნდისთვის ჩვეულ ქარიშხლურ ტემპში დაიწყო — ბურთს დიდხანს არ აწვალებდნენ და ორი-სამი პასის შემდეგ ცდილობდნენ მეტოქეთა კარის დალაშქვრას. მაგრამ დრო მიდიოდა, გოლები კი ცოტა გადიოდა, რაც მოშულართა მეკარეების — მიხეილ კუპატაძისა და გიორგი სამყურაშვილის ბრწყინვალე რეაქციის „ბრალიც" იყო. ამასთან, პრაქტიკულად უშეცდომოდ იცავდა თავისი კარის მისადგომებს ქარიშხლელ მცველთა ორმეტრიანი ბლოკი, რომელმაც ყოველმხრივ შებოჭა არა მხოლოდ ჩემპიონთა, მთელი ჩემპიონატის მთავარმეგოლე გიორგი წიკწივაძის აქტიურობა.

აქვე აღვნიშნავთ, რომ გიორგიმ ამჯერად თავის საბომბარდირო მონაგარს მხოლოდ ექვსი შედეგიანი შეტევა შემატა, რაც მისი გუნდისთვის, თუნდაც საფრეოდ საკმარისი არ აღმოჩნდა. ზურაბ მელქოშვილმა, ლევან ბერძენიშვილმა და ხაზელმა ირაკლი სიგუამ, რომელმაც, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, წლეულს თავისი საუკეთესო მატჩი ჩაატარა, მეხუთე წუთზე „ქარიშხალა" ორი ბურთით დააწინაურეს — 3:1 და ამის შემდეგ საფინალო სასტვენამდე ერთხელაც აღარ მიუციათ მრისხანე მეტოქისთვის წინ გასვლის საშუალება.

„ქარიშხალამ" ტაიმი ორი ბურთით — 11:9 მოიგო და შესვენების შემდეგაც ხელიდან აღარ გაუშვია მეწინავეობა.

ისე, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ გუშინ ჩემპიონებს მხოლოდ ცხრა ხელბურთელი შემორჩენოდათ, წამყვანი მოთამაშენი ტრავმების გამო მოისაკლისეს. ამასთან, მეორე ტაიმში მძიმედ დაშავდა აკაკი ტალახაძე, რის შემდეგაც ჩემპიონები პრაქტიკულად შემცვლელთა გარეშე დარჩნენ.

ბუნებრივია, მათ თამაშს დაღლა დაეტყო და მატჩის მიწურულს ბექა ორჯონიკიძისა და გიორგი გოცირიძის ბიჭებს პირველი, ისტორიული გამარჯვების მოპოვება აღარ გასჭირვებიათ.

გუშინდელ მეორე თამაშზე კი, თუნდაც ანგარიშიდან გამომდინარე, სათქმელი არაფერია. წინა პირველობის ვიცე-ჩემპიონმა „ხელბურთის კლუბმა თბილისმა", მამულელთა საწინააღმდეგოდ ნუ ჩაგვეთვლება, მაგრამ დაგეგმილი გამარჯვება მოიპოვა, თუმც ისიცაა, რომ მამულელთა ამგვარ განადგურებას, ალბათ, თავად თბილისელებიც ვერ იწინასწარმეტყველებდნენ.

ბომბარდირთა შორის 85 გოლით კვლავ წიკწივაძე ლიდერობს და ისე ჩანს, ვერავინ ჩამოართმევს მეწინავეობას.

**გია ახალაძე**

**სატურნირო ვითარება**

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ-შევარდენი | 6 | 0 | 1 | 211:160 | 12 |
| ქარიშხალა | 4 | 0 | 3 | 163:169 | 8 |
| ხ/კ თბილისი | 3 | 0 | 4 | 198:163 | 6 |
| სსსსუ-მამული | 1 | 0 | 6 | 149:229 | 2 |



## რეგულარული ჩემპიონატი

# კროსბის ღრიალი და საეჭვო მზერა

20 ნოემბერი

**კაროლინა 2:5 ტამპა**

*0:1 2:2 0:2*

0:1 რიჩარდსი (8), 1:1 უილიამსი (22), 1:2 ლეკავალიე (27), 1:3 ფედოტენკო (29), 2:3 უილიამსი (36), 2:4 სან ლუი (46), 2:5 მოდინი (48)

**რაც** ოტაველმა დანი ჰიტლიმ უქმეებზე თავისი 16-მატჩიანი ქულიანი სერია შეწყვიტა (მე-17 თამაშზე), იგი „ტამპას" ფორვარდმა ვაცლავ პროსპალმა შეცვალა (1 პასი), რომელიც აგერ უკვე 13 თამაშია, ხელცარიელი არ ტოვებს ყინულს.

**ფინიქსი 5:1 კოლუმბუსი**

*1:0 2:1 2:0*

1:0 ჯონსონი (7), 2:0 ნადი (31), 2:1 ბრული (39), 3:1 მიხალეკი (39), 4:1 დევერო (46), 5:1 სენდერსონი (54)

**როგორც** ჩანს, სეზონის სტარტზე „ფინიქსის" შესაძლებლობებს და უეინ გრეცკის სამწვრთნელო ნიჭს სათანადოდ არ აფასებდნენ.

ბოლო მატჩებში „კოიოტებმა" საგრძნობლად გამოასწორეს სატურნირო მდგომარეობა და რამდენიმე მნიშვნელოვანი მოგება მოიპოვეს. თუნდაც კვირის თამაში ავიღოთ.

თითქოს და „კოლუმბუსის" დამარცხება დიდი გმირობა არ არის, მაგრამ წინა დღეს ფინიქსელებმა „სან ხოსესთან" გადაიტანეს მძიმე ბრძოლა, რომლის ბედიც ბულიტების სერიაში გადაწყდა. დასვენებაც ვერ მოასწრეს, მაგრამ დაღლილობამ არანაირი ზეგავლენა არ მოახდინა გუნდის ასპარეზობაზე. სტუმრებს გადარჩენის შანსი არც ჰქონიათ, საუკეთესო კი სლოვაკი ლადისლავ ნადი იყო, რომელმაც 3(1+2) ქულა დააგროვა.

**რეინჯერსი 3:2 ბოსტონი**

*0:0 1:0 2:2*

1:0 პრუხა (23), 1:1 მიურეი (41), 2:1 იაგრი (27), 3:1 ნიემინენი (49), 3:2 ბერჟერონი (50)

**წლეულს** იარომირ იაგრის თამაშის ყურება ერთი სიამოვნებაა. ჩეხი თითქოსდა მართლა გაახალგაზრდავდა და ისევე, როგორც ოდესღაც, გოლებს უფრო მეტს ითვლის, ვიდრე პასებს. თუმც ამ შაბათ-კვირას მან თავისი უზადო პლეიმეიკერული ნიჭიც გამოავლინა. „კაროლინასთან" თამაშში სამი პასი გააკეთა, „ბოსტონთან" კი გოლს 2 გადაცემაც დაამატა.

„არც კი მახსოვს, როდის მქონდა უფრო მეტი გოლი, ვიდრე პასი. წლეულს კი ნამდვილ მეგოლედ ვიქეცი" — თქვა იაგრმა, რომლის ანგარიშზე ამ თამაშის შემდეგ 19 გოლი და 16 პასია.

აღსანიშნავია, რომ გოლი იაგრის კარიერაში 556-ე აღმოჩნდა და ის ლიგის მეგოლეთა სიაში მე-18 ადგილზე აღზევდა.

**ანაჰაიმი 2:3 ვანკუვერი**

*0:1 1:1 1:1*

0:1 სალო (16), 1:1 მაკდონალდი (32), 1:2 ლინდენი (40), 2:2 რ. ნიდერმაიერი (41), 2:3 სალო (53)

**შაბათს** „პიტსბურგისა" და „ფილადელფიას" თამაშში საინტერესო რამ მოხდა. ერთ-ერთ ეპიზოდში „პინგვინთა" სუპერდებიუტანტმა სიდნი კროსბიმ მეტოქის ლიდერ პეტერ ფორსბერგს უღრიალა და ლამის საჩხუბრადაც კი გაიწია. თურმე ფორსბერგმა მსაჯებს დამახასიათებელი ჟესტით ყურადღება მიაქცევინა იმაზე, რომ კროსბი საკმაოდ ხშირად და თეატრალურად ეცემოდა ყინულზე... ახალგაზრდა ჰოკეისტი კი ამან გააცხარა.

აღსანიშნავია, რომ ერთი კვირით ადრე ამავე გუნდების თამაშის შემდეგ ეს თემა „ფილადელფიის" თავკაცმა კენ ჰიჩკოკმა ამოატივტივა. ასე რომ ზემოთ ხსენებული ინციდენტი ამის გაგრძელება იყო.

„ასე პირველად როდი მეპყრობიან. ცდილობენ, მოთამინებიდან გამომიყვანონ" — ყოყლოჩინობდა ნამატჩევს კროსბი.

რაც შეეხება ფორსბერგს, მას მხოლოდ გაეცინა კროსბის ასეთ რეაქციაზე.

;,ისეთი არაფერი უთქვამს. უბრალოდ, რაღაც საეჭვოდ შემომხედა. ესაა, რისი თქმაც შემიძლია" — თქვა ღიმილით ფორსბერგმა, თუმც ის მაინც დაამატა, რომ როცა კარიერას იწყებდა, განგებ წაქცევაში მასაც ხშირად ადანაშაულებდნენ.

**სამველ ღარიბიანი**

**აღმოსავლეთ კონფერენცია**

| ატლანტიკა | თ | მ | წ | სწ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 23 | 13 | 7 | 3 | 374:58 | 29 |
| ფილადელფია | 19 | 12 | 4 | 3 | 83:67 | 27 |
| აილენდერსი | 21 | 11 | 10 | 0 | 67:72 | 22 |
| ნიუ ჯერსი | 20 | 9 | 9 | 2 | 61:72 | 20 |
| პიტსბურგი | 21 | 6 | 9 | 5 | 63:89 | 18 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ოტავა | 18 | 15 | 3 | 0 | 85:38 | 30 |
| მონრეალი | 21 | 13 | 5 | 3 | 65:64 | 29 |
| ტორონტო | 21 | 12 | 7 | 2 | 78:71 | 26 |
| ბუფალო | 20 | 11 | 9 | 0 | 68:79 | 22 |
| ბოსტონი | 22 | 7 | 10 | 5 | 69:79 | 19 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| კაროლინა | 20 | 14 | 5 | 1 | 72:58 | 29 |
| ტამპა | 22 | 10 | 9 | 3 | 68:66 | 23 |
| ატლანტა | 20 | 8 | 11 | 1 | 71:75 | 17 |
| ვაშინგტონი | 20 | 8 | 12 | 0 | 57:85 | 16 |
| ფლორიდა | 21 | 6 | 11 | 4 | 47:64 | 16 |

**დასავლეთ კონფერენცია**

| ცენტრი | თ | მ | წ | სწ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეტროიტი | 22 | 15 | 5 | 2 | 80:54 | 32 |
| ნეშვილი | 18 | 12 | 3 | 3 | 54:49 | 27 |
| ჩიკაგო | 20 | 9 | 11 | 0 | 59:74 | 18 |
| სენტ ლუისი | 19 | 4 | 12 | 3 | 49:74 | 11 |
| კოლუმბუსი | 21 | 5 | 16 | 0 | 38:75 | 10 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | |
| ვანკუვერი | 21 | 13 | 6 | 2 | 70:61 | 28 |
| კალგარი | 22 | 12 | 8 | 2 | 56:58 | 26 |
| კოლორადო | 20 | 11 | 7 | 2 | 79:65 | 24 |
| ედმონტონი | 22 | 11 | 10 | 1 | 69:68 | 23 |
| მინესოტა | 20 | 9 | 9 | 2 | 54:47 | 20 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | |
| ლოს ანჯელესი | 21 | 14 | 6 | 1 | 79:60 | 29 |
| დალასი | 20 | 13 | 6 | 1 | 72:61 | 27 |
| ფინიქსი | 23 | 11 | 10 | 2 | 64:59 | 24 |
| სან ხოსე | 19 | 8 | 8 | 3 | 51:64 | 19 |
| ანაჰაიმი | 21 | 7 | 10 | 4 | 55:61 | 18 |

*თ — თამაში, მ — მოგება, წ — წაგება, სწ — საოვერტაიმო წაგება, შ — შაიბები, ქ — ქულები*

**ბომბარდირები:** ფორსბერგი (ფილადელფია) 36 (6+30); იაგრი (რეინჯერსი) 35(19+16); ალფრედსონი (ოტავა) 34(18+16); ჰიტლი (ოტავა) 32(15+17); განიე (ფილადელფია) 31(20+11); სტაალი (კაროლინა) 31(14+17); პროსპალი (ტამპა) 31(13+18); სპეცა (ოტავა) 31(6+25); მაკეიბი (ტორონტო) 30(9+21); დემიტრა (სენტ ლუისი) 29(11+18); ტორნტონი (ბოსტონი) 29(8+21); სავარი (ატლანტა) 29(6+23); კოვალჩუკი (ატლანტა) 27(14+13)



ეროვნული ბიბლიოთეკა

# აზიურ ტალღაზე

ჩინეთში, სეჩუანის პროვინციაში გრძელდება მსოფლიოს სამოყვარულო ჩემპიონატი კრივში. 69 კილოგრამამდე წონის მოკრივეთა ფინალში ყოფილი საბჭოელები არიან: ყაზახი სერიკ საპიევი (მარჯვნივ) და უზბეკი დიშოდ მაშ მუდოვი.




# საჩუქარი შორიდან

მუჰამედ ალი ავად არისო, მას კი თავისი სახელობის ცენტრი გაუხსნია მშობლიურ ლუისვილში. იქ ყოფილა ერთი ახალზელანდიელი ბიჭი, მიჩელ ბატლერი, რომელსაც ქვეყნის პრემიერის და მაორთა ტომის საჩუქრები ჩამოუტანია ალისთვის.






# გადაფრენა

პიტსბურგელ ტროი პოლამალუს (43) თანაგუნდელ ბრაიანტ მაკფადენის ზურგზე გადაფრენამ მოუწია, რათა როგორმე შეეჩერებინა ბალტიმორელი ტოდ ჰიპი (86). თამაში კი ბალტიმორელებმა მოიგეს, 16-13.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge